ეროვნული ბიბლიოთეკა


# სარბიელი

სპორტული გაზეთი პარასკევი 21 ივლისი 2006 №166 (2788) ფასი 50 თეთრი


## პატარა სასწაული თუ დიდი დამთხვევა?

### ერთიღა, ფინეთიღა და...



დავით უსტიაშვილმა მოლოდინს გადააჭარბა

ქართველი 20-წლამდელები პორტუგალიაში მიმდინარე ევროსაკვალიფიკაციო ტურნირის ნახევარფინალში კი გავიდნენ, მაგრამ ამის მიღწევა ბეწვის ხიდზე გავლად დაუჯდათ. მეორე ჯგუფური ეტაპი დავით უსტიაშვილის ბიჭებმა ორი გამარჯვებით კი დაიწყეს, მაგრამ ისეთი სიტუაცია შეიქმნა, ჩვენიანებს პოლონეთთან 13 და მეტი ქულით დამარცხება პლეი ოფის მიღმა ტოვებდა.

ჰოდა, პატარა სასწაული თუ დიდი დამთხვევა მოხდა: საქართველომ პოლონეთთან ზუსტად იმდენით წააგო, რამდენიც დასაშვები იყო — 73:85. სლავებს ერთი ბრმა ქულაც რომ ჩაეგდოთ, ნახევარფინალამდე ყინჩად მისული ქართველობა A დივიზიონზე ფიქრს დაემშვიდობებოდა.

წინ ფინეთია, რომელთანაც ქართველები ტურნირის პირველ მატჩში 81:87 დამარცხდნენ. მას მერე ორივე გუნდმა გააუმჯობესა თამაში და ვინც ხვალ იძალებს, ელიტაშიც ის შევა.

## ვინ გაივლის ARKA-ში?

დღეს, ჩვენი დროით 14 საათზე, გდანსკის ARKA-ს საჩოგბურთო კლუბის თიხის კორტზე პოლონეთისა და საქართველოს სადევისთასო ნაკრებთა მატჩი დაიწყება.

სამხრეთ აფრიკის გუნდთან თბილისური გამარჯვების შემდეგ საქართველოს ნაკრები ახლოსაა ევროაფრიკული ზონის პირველ ჯგუფში აღზევებასთან და საამისოდ ჯერ პოლონელთა ძლევაა საჭირო, შემდეგ კი ბულგარელთა და უნგრელთა შორის საუკეთესოს დამარცხება.

ამ გზაზე პირველი ნაბიჯი ჩვენმა პირველმა ნომერმა ირაკლი ლაბაძემ უნდა გადადგას — დღევანდელ პირველ მატჩში ირაკლი პოლონელთა მეორე ნომერს, მიხაილ პრზისეჟნის ხვდება. შემდეგ კორტზე ლადო ჩიხლაძე გავა და მასპინძელთა ლიდერს, ლუკაშ კუბოტს დაუპირისპირდება. ხვალ წყვილთა შეხვედრაა — ლაბაძისა და ჩიხლაძის დუეტი მარიუშ ფირსტენბერგისა და მარსინ მატკოვსკის წინააღმდეგ. გადამწყვეტი კი ზეგინდელი დღე იქნება, როდესაც ერთმანეთს ჯერ პირველი ნომრები — ლაბაძე და კუბოტი შეხვდებიან, ხოლო შემდეგ — ჩიხლაძე და პრზისეჟნი.





ირაკლი ლაბაძე და ლადო ჩიხლაძე



## BABY-END

### ფიფამ ზიდანი გულისამაჩუყებლად დასაჯა: ბავშვები და რაღაც კაპიკები

ზინედინ ზიდანი სამმატჩიანი დიკსვალიფიკაციით და 7500 შვეიცარიული ფრანკით, ხოლო მარკო მატერაცი ორმატჩიანი დისკვალიფიკაციითა და 5000 შვეიცარიული ფრანკით დაისაჯნენ — ასეთი გადაწყვეტილება მიიღო გუშინ ფიფას ხუთკაციანმა სადისციპლინო კომიტეტმა, რომელსაც შვეიცარიელი მარსელ მატიე თავმჯდომარეობდა.

რაღაც უცნაურად გამოდის, არა?! ადამიანს, რომელმაც ფეხბურთის თამაშს თავი დაანება, სამი მატჩის გამოტოვებას აკისრებენ... მაგრამ ამ უცნაურობის ამბავი, ბუნებრივია, ჩვენზე ადრე ციურიხში იცოდნენ და საკუთრივ ზიდანთან შეთანხმებით სასჯელი რეალობას მოარგეს — საფრანგეთის ნაკრების ყოფილი კაპიტანი სამი დღის განმავლობაში უსასყიდლოდ ამეცადინებს ბავშვებს.




ამგვარად, ინციდენტი ამოწურულია. როგორც ზიდანმა, ასევე მატერაციმ, რომელიც ციურიხში წინა კვირას ჰყავდათ დაბარებული, ბოდიში მოუხადეს ფიფას და თავიანთი საქციელის გამო სინანული გამოთქვეს. საბოლოოდ გაირკვა, რომ მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალური მატჩის 110-ე წუთზე ზიდანმა მატერაცის მკერდში თავი გინების საპასუხოდ დაარტყა, თუმცა გინებაში რასისტული არაფერი ყოფილა, იტალიელმა ფრანგის ოჯახი შეურაცხჰყო, ასე რომ, პოლიტიკური მოტივების მაძებართ კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ.

გაირკვა ისიც, რომ ინციდენტი კარგად ჩანდა შეხვედრის მსაჯის ორასიო ელიზონდოს ადგილიდან, რაც იმას ნიშნავს, რომ მსაჯებს წესი არ დაურღვევიათ და ტექნიკის ჩარევის წყალობით არ მიუღიათ ზინედინ ზიდანის მოედნიდან გაძევების გადაწყვეტილება, თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ მეოთხე არბიტრმა, ესპანელმა ლუის მედინა კანტალეხომ მსაჯსა და მის ასისტენტებს რაციის საშუალებით თავადაც აცნობა მომხდარის შესახებ. ესეც იმის დამტკიცება, რომ მსაჯებს მიკროფონ-ყურსასმენები ამაოდ არ ჩამოჰკიდეს.

## იტალიური მართლმსაჯულება ყველაფერს სტენო-გრამობით წონის

### რეჯინა, მესინა, ლეჩე და სიენა: ეგეთები გაუმასქნებია ბორელის...



იტალიური პრესის პირვანდელი ინფორმაცია — საფეხბურთო თაღლითობის სკანდალში შესაძლოა, კიდევ ორი გუნდი იყოს გახვეული, ზუსტი არ გამოდგა. კალჩოპოლი ახალი სატელეფონო საუბრების სტენოგრამაზე დაყრდნობით ორი კი არა, ერთბაშად ოთხი კლუბის საქმიანობას გამოიძიებს. თუ „რეჯინას“ „მესინას“, „ლეჩესა“ და „სიენას“ მაქინაციებში მონაწილეობა დაუდასტურდათ, უკვე დასჯილი ბევრად უფრო სახელიანი გუნდების დარად შავი დღე დაადგებათ.

„რეჯინას“ პრეზიდენტს, პასკუალე ფოტის „იუვენტუსის“ ყოფილ დირექტორთან ლუჩანო მოჯისთან და სამსაჯო კომიტეტის ერთ-ერთ ყოფილ დირექტორთან პაოლო ბერგამოსთან ხშირ-ხშირი ზარები შეიძლება, ძვირად დაუჯდეს. „ლეჩეს“ კი შარშანწინდელ სეზონში „პარმასთან“ საეჭვო ფრე ამოუქექეს. არის სხვა სათუო და გამოსარკვევი ფაქტებიც. კალჩოპოლის უშიშარი, მკაცრი და პრინციპული შეფი ფრანჩესკო ბორელი გამოძიებას ჩვეული ენთუზიაზმით აგრძელებს და ახალ-ახალ ამბებს უახლოეს დღეებში გავიგებთ.

# იმედაშვილის შორი გზა მშვიდობით დასრულდა

## კიევის დინამომ მესამე ქართველი მიიღო



**კიევის** „დინამოს“ კიდევ ერთი ქართველი ჰყავს — 21 წლის მცველი დავით იმედაშვილი.

ფეხბურთელსა და კლუბს შორის მოლაპარაკებას დიდი ხანი არ დასჭირვებია. ავსტრიული შეკრების შემდეგ „დინამო“ და იმედაშვილი პირობებზე მალევე შეთანხმდნენ და გუშინ ხუთწლიანი კონტრაქტიც გააფორმეს. დღეს კი უკრაინის ჩემპიონატი იწყება. კიეველები „ჩერნომორეცს“ მასპინძლობენ და სულაც არაა გამორიცხული, ახალ გუნდში დავით იმედაშვილის ოფიციალური დებიუტი ახლავე შედგეს.

თბილისური „ვიტ ჯორჯიადან“ კიევის „დინამოში“ იმედაშვილის წასვლაზე ადრეც ბევრს ლაპარაკობდნენ. უკრაინელები ამ მცველით ჯერ კიდევ ორი წლის წინ დაინტერესდნენ და მის შესაძლებლობებზე კარგის თქმას თბილისში რამდენჯერმე მყოფი კიეველი სელექციონერები არ ერიდებოდნენ. მიზეზ-მიზეზთა გამო მაშინ იმედაშვილის „დინამოში“ გადასვლა ვერ მოხერხდა.

წინა სეზონის დასრულების შემდეგ კიეველებმა იმედაშვილი ჯერ ერთ შეკრებაზე მიიწვიეს, მეორეზეც წაიყვანეს და აგერ, „დინამოსთვის“ ტრადიციული ხუთწლიანი კონტრაქტი გაუფორმეს.

შეგახსენებთ, კიევის „დინამომ“ ზამთარში ორი ქართველიც გადაიბირა, „ვიტ ჯორჯიადან“ წასულ ოთარ მარცვალაძესა და თბილისის „დინამოდან“ გადასულ კახა ალადაშვილს კიეველებმა ასევე ხუთწლიანი კონტრაქტები გაუფორმეს.

თუმცა ახლა კახა ალადაშვილის კიევურ ამბებს მთლად სახარბიელო არ ეთქმის. ის „დინამოს“ ძირითადსა და ეროვნულ გუნდში ადგილის დასამკვიდრებლად სათამაშო პრაქტიკას ითხოვს, მწვრთნელები კი მის ადგილს მხოლოდ „დინამო 2“-ში ხედავენ. ამიტომაც კახას „დინამოდან“ წასვლა აქვს გადაწყვეტილი და ამ საქმიდან რა გამოუვა, დღეს-ხვალ შევიტყობთ. ჩვენიანი ნახევარმცველი კიევში მისი აგენტის ახრიკ ცვეიბას ჩასვლას ელის. სწორედ აგენტისა და „დინამოს“ ხელმძღვანელობის მოლაპარაკების შემდეგ გაირკვევა ალადაშვილის საკითხიც. ის ან „დინამოში“ დარჩება და მთავარ გუნდში იქნება, ანაც განათხოვრებით სხვაგან ითამაშებს. ითქვა, შესაძლოა, კახა ალადაშვილი დნეპროპეტროვსკის „დნიპროში“ გაუშვანო.

ოთარ მარცვალაძე კი „დინამოს“ ავსტრიულ შეკრებაზე დაშავდა და უკვე ათი დღეა, უქმადაა. მისი ტრავმა სერიოზული არ არის, მაგრამ მკურნალობას თავისი დრო უნდა.

**ძოგა ინასარიძე**

**ქართველი** ლეგიონერები გუშინ-გუშინწინ ზოგან ტესტ-მატჩებში, ზოგანაც ოფიციალურ შეხვედრებში გამოჩნდნენ. რუსეთიდან დავიწყოთ, სადაც პრემიერლიგის მორიგ ტურში ყაზანის „რუბინი“ მოსკოვში „დინამოს“ ესტუმრა და 2:2 ითამაშა. ლაშა სალუქვაძემ 90 წუთი დაჰყო მინდორზე, მიხეილ აშვეთია კი შესვენებაზე შეცვალეს. რაც უფრო თვალში საცემია, ხანგრძლივი ტრავმის შემდეგ ითამაშა გიორგი ქინქლაძემ — გიო 62-ე წუთზე ჩაერთო მატჩში, რამდენიმე კარგი პასიც გაახერხა და სწორედ მისი შესვლის შემდეგ მოახერხეს ყაზანელებმა გამთანაბრებელი გოლის გატანა. ქართველების „რუბინი“ პრემიერლიგაში მესამე ადგილზეა და ცესკას ქულით, ნალჩიკის „სპარტაკს“ კი ორი ქულით ჩამორჩება.

როგორც ყოველთვის, ძალიან ადრე დაიწყო ჩემპიონატი შვეიცარიაში, ოღონდ მიხეილ ყაველაშვილის გარეშე... „ბაზელი“ სტუმრად 1:1 გაეყარა „იანგ ბოიზს“ და საკვირველია: „ყაველას“ თითქმის ყველა ტესტ-მატჩში სრულად ათამაშებდნენ, ახლა კი მინდორზე საერთოდ არ გამოიყვანეს.

ლევან კობიაშვილის „შალკე“ ამხანაგურად ხვდებოდა სლოვენიის „მარიბორს“ და 1:1 ითამაშა. ცხადია, კობი ძირითადში იყო, ოღონდ ამჯერად ბოლომდე არ უთამაშია — 70-ე წუთზე შეცვალეს. ჩვენიანი მარცხენა ნახევარმცველად გაისარჯა.

კვლავ „მიუნხენ 1860“-შია მათე ღვინიანიძე და გუშინაც ერთი ტაიმი ითამაშა ერთ-ერთ ობერლიგელ კლუბთან, რომელიც „ლომებმა“ 2:1 დამარცხეს. მათე შესვენების შემდეგ 28-ნომრიანი მაისურით გამოჩნდა მინდორზე. ერთ-ერთ გერმანულ ვებ-გვერდზე ღვინიანიძეზე წერია, ქართველი კარგად გამოიყურება, მაგრამ ვალტერ შახნერის გუნდში გასინჯვაზეა და მწვრთნელი მას გულდასმით აკვირდება, სანამ კონტრაქტზე მიდგება საქმეო...

გიორგი ფოფხაძე კი, ალბათ, დაშორდა შოტლანდიურ „ჰართსს“. სქოთთა თავკაცი ვალდას ივანაუსკასი მასზე საქებარ სიტყვებს არ იშურებდა, მომდევნო საკონტროლო შეხვედრაში ქართველს კიდევ გავსინჯავთო, თუმცა... „ჰართსმა“ ჯერ „პრესტონთან“ (2:1), გუშინ კი ესპანურ „ოსასუნასთან“ (2:0) ითამაშა, ფოფხაძე კი არ გამოჩენილა.

ამასობაში „ჰართსმა“ საჩემპიონთალიგო განაცხადი გააგზავნა უეფაში და ვრცელ სიაში გიორგი არაა შეყვანილი. ასე რომ, ეტყობა, ტრანსფერს ახდენა არ უწერია.

# მათე უახლოვდება, ფოფხაძე შორდება



გიორგი ქინქლაძემ წლეულს პრემიერლიგაში პირველად ითამაშა

**ილია ნანობაშვილი**

# კოტრი კრივბასის ამბავი კოხტად დამთავრდა

## ბურდული და გიგიაძე კრივოი როგში დარჩნენ





**გაკოტრებული** კრივოი როგის „კრივბასის“ საქმე წალმა შემოტრიალდა — გუნდს ფული გამოუჩნდა, კვლავ უმაღლეს ლიგაში ითამაშებს და ვასილ გიგიაძე და ლადო ბურდულიც „კრივბასში“ დაბრუნდნენ.

— კრივოი როგი ინდუსტრიული ქალაქია, რომლის მეტალურგიული ქარხანა აფინანსებდა „კრივბასს“, მაგრამ როცა ქარხანა 25 მილიარდად ინდოელებმა იყიდეს, გუნდის დაფინანსებაზე უარი თქვეს — ამის გამო შეექმნა „კრივბასს“ ფინანსური პრობლემები. მაგრამ ქალაქის საზოგადოებამ ერთი ამბავი ატეხა და ქარხნის ახალი ხელმძღვანელობა იძულებული გახდა, კვლავ დაეფინანსებინა გუნდი. ადრე გითხარი, რომ მე კიევის „არსენალში“ ან „ლუგანსკში“ ვაპირებდი წასვლას, მაგრამ რადგან „კრივბასში“ სიტუაცია გამოსწორდა, აღარსად წავალ — „კრივბასში“ უკეთესი პირობებია, ვიდრე „არსენალში“ და „ლუგანსკში“. გიგიაძე უკვე ბუქარესტში იყო ჩასული იქაურ „რაპიდთან“ კონტრაქტის გასაფორმებლად, მაგრამ როგორც კი „კრივბასში“ ვითარება შეიცვალა, მყისვე დააბრუნეს გუნდში — გვითხრა ბურდულმა.

უკრაინის ჩემპიონატის პირველ ტურში, 23 ივლისს „კრივბასი“ სტუმრად ეთამაშება „შახტარს“ და ეს მატჩი ჩვენთვის იმითაცაა საინტერესო, რომ გიგიაძე და ბურდული ეროვნული ნაკრების კანდიდატები არიან — ევროჩემპიონატის შესარჩევი ციკლი ხომ კარს მოგვადგა — 16 აგვისტოს საქართველო ფარერის კუნძულებს ესტუმრება.

**დავით თავართქილაძე**

# გახოკიძე მარჯვენა ფლანგზეც

**ბოლო** ერთ კვირაში გოგა გახოკიძის „ტვენტემ“ ორი შეხვედრა ჩაატარა, თუმცა ქართველი მარცხენაფლანგელი მინდორზე საერთოდ არ გამოჩენილა. ამბის გასაგებად გოგას ჰოლანდიაში დავუკავშირდით და მანაც გვაცნობა, სერიოზული არაფერია, შაბათს ინტერტოტოს თასზე შვედურ „კალმართან“ ვითამაშებო.

„ხანგრძლივი ტრავმა რომ მქონდა, ამას მთლად უკვალოდ არ ჩაუვლია. ვარჯიშისას კუნთი დამეჭიმა და ამის გამო ექიმებმა ოთხდღიანი დასვენება მირჩიეს. გუნდთან ერთად ვემზადები და ღვთის მადლით, ბოლომდე მწყობრში ვარ“ — გვითხრა გახოკიძემ.

„ტვენტეს“ მიერ გამართულ ტესტ-მატჩებში ჩვენიანი უმეტესად შეცვლაზე შედიოდა და ხომ არაა იმის საფრთხე, რომ გუნდის ძირითადიდან ამოვარდეს?

„როგორც ყველა ნორმალურ გუნდში, აქაც მყავს კონკურენტი. თუმცა, არა მგონია, ძირითადში თამაშის პრობლემა შემექმნას. მწვრთნელი ხან მარჯვენა ნახევარმცველადაც მაყენებს. მართალია, ცაცია ვარ, მაგრამ არ მიჭირს საპირისპირო ფრთაზე თამაში“.

გოგას გუნდმა „კალმართან“ პირველ მატჩში სტუმრად 0:1 წააგო, თუმცა შინ „ტვენტე“ ფავორიტია და თუ იმარჯვა, ენსხედელები უფრო მიუახლოვდებიან მიზანს — უეფას ჯგუფურ ეტაპზე მოხვედრას.

„ვფიქრობ, „ტვენტეს“ შეუძლია ინტერტოტოს ეტაპების გადალახვა. სეზონის მერე კარგი ფეხბურთელები მოგვივიდნენ, წესით, უკეთესი გუნდი უნდა გვყავდეს“.

**ილია ნანობაშვილი**

## ევროპის 19-წლამდელთა ჩემპიონატი

UNDER-19 Championship

**A ჯგუფი. II ტური**

პოლონეთი 4:1 ბელგია
ავსტრია 1:3 ჩეხეთი

**B ჯგუფი. II ტური**

ესპანეთი 4:0 შოტლანდია
პორტუგალია 4:4 თურქეთი

## შვედეთი

**ალსვენსკა XI ტური**

ჰეკენი 0:2 იურგორდენი

## ნორვეგია

**თასის მერვედფინალი**

*ვიკინგი* 5:0 ბოდიო გლიმტი
*სტარტი* 3:1 ბრანი

## უნგრეთი

**სუპერთასი. საპასუხო მატჩი**

*დებრეცენი* 2:1 ფეჰერვარი (1:0)

# სიონი ბაქის სევდაა: ბიჭებმა 5000-5000 დოლარი დაკარგეს

დავით თავართქილაძე

**ჩაფიქრებული,** ნიკაპზე ხელმიდებული ილჰამ ალიევი მამამისს, ჰეიდარს შესცქერის, უფროსი ალიევი ვაჟიშვილს რაღაცას უხსნის — ამ ფოტოს ფონად ან აზერბაიჯანის დროშა აქვს, ან კასპიის სანაპიროზე გაშენებული ბაქოს ხედი — ასეთი ბილბორდებით იწყება აზერბაიჯანი საზღვრიდან და გრძელდება დედაქალაქამდე.

აზერბაიჯანი არ არის ჩვეულებრივი ქვეყანა და ჩვეულებრივი სარკინიგზო რეისის გარდა აქვს არაჩვეულებრივი სარკინიგზო რეისიც — თბილისი-ბაქო და ბაქო-თბილისი. ამ არაჩვეულებრივ რეისზე ბილეთი 168 დოლარი ღირს, მაგრამ რეისი მხოლოდ ფასით როდია განსაკუთრებული — ამ მატარებელში არის სამორინე და ამ მატარებლით ხშირად სარგებლობენ ფულიანი აზერბაიჯანელები, რადგან სათამაშო ბიზნესი აზერბაიჯანული კანონმდებლობით აკრძალულია, სამორინე მატარებელში კი ამ კანონის ნაპრალია ახალი აზერბაიჯანელებისთვის.

ცხოვრების დონით აზერბაიჯანში ხალხი უკმაყოფილოა, მაგრამ ამას თამამად ვერ ამბობენ. აზერბაიჯანში არ არის ოპოზიციური ტელეარხები, განსხვავებულ აზრს მხოლოდ გაზეთებში წააწყდებით.

აზერბაიჯანში მკაფიოდაა განსაზღვრული თამაშის წესები, რაც საშუალებას იძლევა, ეფექტურად განხორციელდეს პრეზიდენტ ილჰამ ალიევის პოლიტიკა ფეხბურთში — საგადასახადო შეღავათები ფეხბურთში და სპორტში ფულისჩამდები ბიზნესმენებისთვის — მდიდარი აზერბაიჯანული საფეხბურთო კლუბების მფლობელები ნახიჭევანიდან არიან, ალიევის მშობლიური კუთხიდან წამოსული ხალხი.

„ბაკი" პოლიციაში და უშიშროებაში ნამუშევარი ხალხის გუნდია, იმ სისტემის, რომელზეც მყარად დგას ალიევთა კლანი. „ბაკიში" ყველა საკითხი კლუბის ვიცე-პრეზიდენტ ნაილ ალიევთან უნდა მოგვარდეს — ამ წესს იცავს ყველა, მათ შორის მთავარი მწვრთნელი და ერთ-ერთი ფაქტორი, რითაც „სიონმა" „ბაკის" კისერი მოუგრიხა, ესეცაა — „ბაკი" აშკარად დაალალატა დამრიგებლების დაბალმა სამწვრთნელო კვალიფიკაციამ.

ფულიანი „ბაკი" იმ ალმა-ათის „ქაირათსაც" ვერ ჰგავს, საბჭოთა კავშირის ჩემპიონატში რომ გამოდიოდა. „ბაკიმ" ძალიან პრიმიტიული ფეხბურთი აჩვენა, არანაირი ნიშანწყალი არ ემჩნეოდა თანამედროვე, ევროპული ფეხბურთისა. „ბაკის" დაცვა მეტოქის საჯარიმო მოედანზე არცკი გადადიოდა, „ბაკი" ბურთის კოლექტიურ ართმევას ვერ მიმართავდა, პრესინგს ვერ თამაშობდა...

აზერბაიჯანში ჯერჯერობით ჯიუტად არ სურთ ევროპელი მწვრთნელების მიწვევა, თორემ საამისო ფული როდი უჭირთ. თუ უცხოელს მიიწვევენ, ის ან რუსი უნდა იყოს, ან უკრაინელი, ვისაც ნაილ ალიევი და მისთანები იმას გააკეთებინებენ, რაც მოუნდებათ — აი, აქ უცურდება ფეხი აზერბაიჯანულ ფეხბურთს.

აზერბაიჯანში ძალიან მომთხოვნები არიან ლეგიონერი ფეხბურთელების მიმართ. „ბაკი" — „სიონის" მატჩის მიმოხილვებში აზერბაიჯანულმა გაზეთებმა გააკრიტიკეს გვინეელი პატე ბანგურა, რუმინელი მიხაი იონესკუ. გუნდის აზერბაიჯანელ კაპიტან ჯეიხუნ სულთანოვზე კი წერდნენ, ბევრს ცდილობდა, მაგრამ უცხოტომელებმა მხარი ვერ აუბესო. არავის შეუქია სერბი დარკო იოვანდიჩი, ვინც საუკეთესო იყო „ბაკიდან" ბოლნისელებთან მატჩში. რაც შეეხება გია მეგრელაძეს, მასზე აუგი ვერ ამოვაკითხინე ჩემს აზერბაიჯანელ კოლეგებს მათივე გაზეთებში, მაგრამ ტრავმიანი მეგრელაძე მაინც რომ ათამაშეს „სიონთან" და მატჩის შემდეგ კიდევ უფრო რომ ასტკივდა ფეხი, ეს ნაღდი ამბავია.




ეროვნული ბიბლიოთეკა

თქვენ, მგონი, უცხოელი მწვრთნელები ძალიან გამოგადგებოდათ — ეს არ იყო ჭკუის დარიგება, უბრალოდ, ჩემს აზრს გამოვთქვამდი აზერბაიჯანელ კოლეგებთან და ფეხბურთის მოყვარულ ტაქსისტებთან, ისინი კი სიტყვას ბანზე მიგდებდნენ მიუხედავად იმისა, რომ ეს თემა არანაირად არ ეხებოდა არც ალიევების დინასტიას და საერთოდ პოლიტიკას.

...ბაქოში მშენებლობები მიდის, ქალაქის ცენტრში ძალიან ბევრი უცხოელი და პიკსაათებში საცობებია, არიან ღარიბებიც, რომლებიც უტყვი გამძვინვარებით შრომობენ და ქაბაბს მიირთმევენ.

„ბაკის" თითოეულმა ფეხბურთელმა კი 5 000 დოლარი დაკარგა — ასეთი იყო პრემია ჩემპიონთა ლიგის მეორე ეტაპზე გასვლისთვის.

# ერევნული ეროვნულიც უნდა იყოს: იბრძოლე!




*თბილისის „ამერს" უეფას თასზე სომხურ „ბანანცთან" საპასუხო მატჩამდე არცთუ დიდი დრო დარჩა. თბილისში 0:1 წაგების შემდეგ ამერელებს სტუმრად ურთულესი რთული მატჩი რომ ელით, თქმა არ უნდა.*

*უეფას თასამდე „ამერმა" ჩეხეთში გაიარა ორკვირიანი შეკრება, მაგრამ ხეირიანი და საჭირო ოდენობის სპარინგ-მატჩები ვერ ითამაშა. ამერელები ამის გამოსწორებას ახლა ცდილობენ და ქართულ კლუბებთან „ამხანაგობენ". „ამერმა" უკვე ითამაშა ერთი სპარინგ-მატჩი. გუშინწინ გლდანში თელავის „კახეთს" სულიკო დავითაშვილისა და დავით სევასტოპულოს გოლებით 2:1 მოუგო, მაგრამ ამერელებმა ისეთი მომენტებიც გააფუჭეს, ვერგამოყენება უფრო რთულიაო, რომ ეთქმის. ნამატჩევს „ამერის" მთავარ მწვრთნელ გიორგი ჩიხრაძეს გავესაუბრეთ...*

— „ბანანცთან" საპასუხო მატჩამდე ერთი კვირა დარჩა. კიდევ აპირებთ ამხანაგურად თამაშს?

— კიდევ ერთი მატჩი აუცილებელია. 22 ივლისს „გაგრას" ვეთამაშებით და ამით მოვრჩებით. ვფიქრობ, ასეთ მოკლე დროში მეტი ამხანაგური მატჩის თამაში არ შეიძლება. გუნდი გადაიღლება. აქ ვარჯიშით და ორი სპარინგით შეძლებისდაგვარად უნდა ავკრიფოთ სათამაშო ფორმა, ტაქტიკაც დავხვეწოთ და შემადგენლობაც შევარჩიოთ. მცირე დროში მეტის საშუალება არ გვაქვს და რისი გაკეთებაც ჩეხურ შეკრებაზე ვერ შევძელით, ახლაღა უნდა ავანაზღაუროთ.

— ეს დრო საკმარისი იქნება საიმისოდ, საპასუხო მატჩს „ამერი" ოპტიმალურ ფორმაში რომ შეხვდეს?

— ჩვენ ამისთვის ყველაფერს ვაკეთებთ. რა და როგორ იქნება, ეს სომხეთში გამოჩნდება.

— თბილისში 0:1 წაგების შემდეგ „ამერს" სტუმრად გოლი აუცილებლად სჭირდება. სწრაფ გოლზე ითამაშებთ?

— ეს ფაქტორი მეტოქემაც იცის და ამისთვის მზად იქნება. ამიტომ პირველი ოცი წუთი ტაქტიკური თამაში იქნება. ამ დროში შევეცდებით, მეტოქის სუსტი წერტილების პოვნას. ვფიქრობ, უმალ შეტევაზე გადასვლა გამართლებული არ იქნება — შეიძლება, მეტოქემ კონტრშეტევაზე დაგვიჭიროს და საქმე ძალიან გაგვირთულოს.

— თბილისურ მატჩში სტუმართა გოლი ცენტრალურ მცველთა უხეშ შეცდომას მოჰყვა. ამასთან, ნახევარდაცვაც ინერტული იყო. მომავალი მატჩისთვის შემადგენლობაში ნომინალური საყრდენი ნახევარმცველის დაყენებას ხომ არ აპირებთ, სიცარიელე რომ შეავსოს?

— ალბათ, ასეც იქნება, ყველაფერის თქმა წინასწარ არ მინდა, მაგრამ მოედნის ცენტრში წმინდა ჩამშლელი ფეხბურთელი დაგვჭირდება, იმიტომ, რომ პირველ მატჩში მეტოქესთან მოედნის ცენტრი წავაგეთ.

— „ბანანცთან" ძალიან აქტიურობდა მარჯვენა ფლანგელი გრიგოლ დოლიძე, რასაც ვერ ვიტყვით მარცხენა ფრთაზე. დასრულებულ სეზონში ამ პოზიციაზე დავით სევასტოპულო თამაშობდა, მაგრამ „ბანანცთან" სათადარიგო იყო...

— ვფიქრობ, რომ იმ მატჩში ორივე ფრთა აქტიურობდა, სანამ ბიჭებს ჯანი ეყოთ. მერე კი დაიღალნენ და აქტიურობამაც იკლო. რაც შეეხება დავით სევასტოპულოს, ის კარგად შევიდა შეცვლაზე, ვარჯიშებზეც კარგად გამოიყურება და საპასუხო მატჩში, ალბათ, ძირითად შემადგენლობაშიც იქნება.

— იმის გათვალისწინებით, რომ ნახევარდაცვის ფლანგებზე შემტევი ფეხბურთელები ითამაშებენ, უშუალოდ წინა ხაზში ცვლილებები მოხდება?

— შემადგენლობაში ცვლილებები აუცილებლად იქნება, ოღონდ რა და როგორ, ამის თქმისგან ახლა თავს შევიკავებ.

— თბილისში მშრალად წაგებული მატჩის შემდეგ რამდენად რეალურია სტუმრად მოგება?

— ბიჭები ფსიქოლოგიურად მტკიცედ არიან. მთავარია, ვაჟკაცურად ითამაშონ, იბრძოლონ და მითითებები შეასრულონ. ანგარიშიდან გამომდინარე, ფავორიტი „ბანანცია", მაგრამ თუ ბრძოლა იქნება, მეტოქის სტუმრად დამარცხება და შემდეგ ეტაპზე გასვლა სავსებით რეალურია.

ბაჩო სვანიძე



# ქოქიაშვილი ფრანგის ეთნიკოსში

**დავით ქოქიაშვილი** ერთ-ერთი ის ფეხბურთელია, 16-17 წლისანი ტალანტებად რომ ითვლებოდნენ, მაგრამ კარიერა საკადრისად ვერ აეწყოთ. ქოქიაშვილი ახლა 23 წლისაა, იგი ჯერ კიდევ 18 წლისა წაიყვანა მოსკოვის „სპარტაკმა", თუმც იქიდან დაბრუნებამ მოუწია, მერე რამდენიმე ქართული კლუბი გამოიცვალა, ახალგაზრდულ ნაკრებშიც რამდენჯერმე ითამაშა...

გუშინ კი ქოქიაშვილმა საბერძნეთის მეორე ლიგის ასტერასის „ეთნიკოსთან" სამწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი.

„ამ გუნდში ორი თვის წინაც ვიყავი გასინჯვაზე, „ეთნიკოსს" ფრანგი კარამან კანტო წვრთნის, მას ძალიან მოვეწონე. მაშინვე აპირებდნენ ჩემ შეძენას, მაგრამ რაღაც დეტალების გამო ვერ მოგვარდა. ძალიან კარგად დამხვდნენ გუნდში და, როგორც ვატყობ, ძირითადში თამაშის პრობლემა არ უნდა შემექმნას. მწვრთნელიც და კლუბის პრეზიდენტიც კმაყოფილები არიან ჩემით. მართალია, აქ არაევროკავშირელებზე ლიმიტია დაწესებული, მაგრამ „ეთნიკოსში" დაშვებულზე მეტი არაევროკავშირელი არ ვართ".

დათოს თქმით, „ეთნიკოსი" საბერძნეთის მეორე ლიგის კვალობაზე საკმაოდ ამბიციური კლუბია, წინა სეზონში მეცხრე ადგილზე გავიდნენ, მაგრამ ახლა შემადგენლობა გააძლიერესო.

„კარგია, რომ უცხოეთის კლუბი მეღირსა. სიმართლე გითხრათ, საქართველოს ჩემპიონატში თამაში არანაირად აღარ მინდოდა".

ქოქიაშვილი ძალიან ხშირად ტრავმირდებოდა და დიდწილად ამან შეუშალა ხელი მაღალ დონეზე თამაშში.

„ფაქტია, ტრავმებმა უკან დამწია. მენისკის ოპერაციამ ბევრი გამაცდენინა. ბოლოს თბილისის „სპარტაკში" ვიყავი სამთვიანი კონტრაქტით და მინდა, ამ კლუბის ხელმძღვანელობას მადლობა გადავუხადო, რომ თითქმის უვარჯიშებელს მენდობოდნენ".

**ილია ნანობაშვილი**

# ლოკომოტივი პარალელზე: აღზრდაც, შედეგიც...

## ამირან მინაშვილი: ტექნიკა და ინდივიდუალიზმი ჩემი კრედოა

**თბილისის „ლოკომოტივს" აღარ ჰყავს ის შემადგენლობა, რაც შარშან-შარშანწინ ჰყავდა ნოდარ აკობიას თავკაცობით. რამდენიმე ახალ შეძენილ ვეტერანს თუ არ ჩავთვლით, რკინიგზელებს მომავალ სეზონში ყველაზე ახალგაზრდული გუნდი ეყოლებათ ჩემპიონატში. და ახალი მწვრთნელი: ამირან მინაშვილი, რომელსაც მექსიკაშიც უმუშავია და, როგორც თავად ამბობს, იქ ძალიან ბევრი შეისწავლა... მინაშვილი საინტერესო მოსაუბრე აღმოჩნდა, საკუთარ სამწვრთნელო კრედოზე ისაუბრა, თავიდან კი „ლოკომოტივის" მზადებით დავიწყეთ**



ამირან მინაშვილი ქართულ უმაღლეს ლიგას იმედით იწყებს

— დილმის მასივში, „ლოკომოტივის" ბაზაზე ვვარჯიშობთ. ჯერჯერობით ორი ამხანაგური შეხვედრა გავმართეთ: თელავის „კახეთთან" 0:2 წავაგეთ, რუსთავის „ოლიმპთან" კი 0:0 ვითამაშეთ. 23 ივლისს თბილისში აზერბაიჯანის „ოლიმპი" ჩამოვა ჩვენთან სასპარინგოდ.

**— წინა სეზონის შემდეგ გიორგი კახელიშვილმა რომ დატოვა გუნდი, ეს ვიცით. სხვა რა ცვლილებებია „ლოკომოტივში"?**

— კახელიშვილის გარდა, ლევან ფურთუხიაც დაგვაკლდა. ეს რაც შეეხებათ ძირითადის მოთამაშეებს, თორემ სხვა ფეხბურთელებიც წავიდნენ, რომლებსაც სათამაშო პრაქტიკა იშვიათად ჰქონდათ. სამი მოთამაშე მოვიყვანეთ: მეკარე დავით გვარამაძეზე გეცოდინებათ, მის გარდა „ამერიდან" მცველი გიორგი კვახაძე და „ბორჯომიდან" ფორვარდი ვლადიმერ გოჩაშვილი შევიმატეთ. ბოლოს კი „თბილისიდან" გადმოვიყვანეთ ნიკა გუშარაშვილი, რომელიც ადრე „ბათუმში" თამაშობდა.

**— გვარამაძეს კარგა ხანია, არ უთამაშია, თან ასაკშია და ვითომ დაიბრუნებს ძველებურ ფორმას?**

— მისი ძალიან გვეიმედება. გვარამაძე ნელ-ნელა შედის ფორმაში, თანაც მისი გამოცდილება წაადგებათ ჩვენს ახალგაზრდა ფეხბურთელებს.

**— რა იქნება „ლოკომოტივის" მიზანი ახალ სეზონში?**

— პირველ რიგში, კარგი ფეხბურთის ჩვენება, ისეთის, მაყურებელს რომ მოეწონება. რა თქმა უნდა, შედეგიც საჭიროა — რაც მაღალ ადგილს დავიკავებთ, მით უკეთესი.

**— ძალიან ახალგაზრდული გუნდი გყავთ. „ლოკომოტივმა" შარშან დაისახა მიზანი — მომავალზე ვაკეთებთ აქცენტსო...**

— დიახ, ასეა. ჩვენ გვაქვს სპეციალური სასწავლო პროგრამა, რომლის მიხედვითაც მოვემზადებით. სასწავლი ბევრია, ამაზე ვიმუშავებთ და პარალელურად შედეგზე ვითამაშებთ. „ლოკომოტივი" გუშინ არ შექმნილა და არც ხვალ დაასრულებს ისტორიას. ამ კლუბს პატივისცემა სჭირდება, ყველა ფეხბურთელმა და მწვრთნელთა პერსონალმა უნდა იცოდეს, რომ „ლოკომოტივი" ტრადიციების კლუბია — წლეულს „ლოკომოტივს" 70 წელი შეუსრულდა, ეს არაა პატარა ამბავი.

**— წინა ჩემპიონატის მეორე წრეში „ლოკომოტივში" 1990 წელს დაბადებული ლევან ყენიაც თამაშობდა. ყენიას და სხვა 16 წლის ბიჭებს უმაღლეს ლიგაში თქვენც დაეყრდნობით?**

— არა, მათ მომწიფება სჭირდებათ და უმაღლეს ლიგაში სისტემატური თამაში 16 წლის ბავშვისთვის სახეირო არაა. ისინი ითამაშებენ თავიანთ ასაკში, ჭაბუკთა ლიგაში. დიდ „ლოკომოტივში" კი ზოგჯერ 15-20 წუთით გამოვიყვანთ. ეს მოხდება პერიოდულად, მცირე დოზებით. რაც შეეხება ყენიას, იგი უდავოდ ნიჭიერია და დიდი ფეხბურთის თამაში შეუძლია. მის გარდა „ლოკომოტივიდან" საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებში კიდევ რამდენიმე ბიჭი მოხვდა.

**— მექსიკაში თქვენს სამწვრთნელო საქმიანობაზეც გვითხარით...**

— 1997 წელს ჩავედი მექსიკაში და წელიწადნახევარი ვიმუშავე. მეხიკოს „ამერიკაში" ერთ-ერთ ასაკობრივ გუნდს ვწვრთნიდი, გარდა ამისა, იქაური მესამე ლიგის კლუბ „რამბოქსს" ვთავკაცობდი. მექსიკურ ფეხბურთს ყველა კარგად იცნობს, ისინი სამხრეთამერიკულ სტილში თამაშობენ. მექსიკის ჩემპიონატში ბევრი არგენტინელი და ბრაზილიელია, ბევრი მათგანი ამ ნაკრებების ყოფილი ფეხბურთელია. მათ გვერდით ადგილობრივი მოთამაშეებიც ბევრს სწავლობენ, ეს პროცესი კარგა ხნის წინ დაიწყო და ამიტომაცაა, რომ მექსიკის ნაკრები ბოლო 15-20 წელია პროგრესირებს.

**— როგორც მწვრთნელი, თქვენც ტექნიკური ფეხბურთის მიმდევარი ხართ?**

— ულაპარაკოდ. მიმაჩნია, რომ ფეხბურთი იქნება თუ სხვა სფერო, ტრადიციებს არ უნდა უღალატო. ქართული ფეხბურთი ტექნიკასა და ინდივიდუალიზმთან ასოცირდება, ეს ფესვებშია და მას არ უნდა მოვწყდეთ.

რა თქმა უნდა, იმას არ ვამბობ, ფეხბურთელმა კუნთები არ უნდა გაიმაგროს და ფიზიკურ მომზადებას არ მიხედოს-მეთქი. თანამედროვე ფეხბურთი ამის გარეშე წარმოუდგენელია, მაგრამ ფიზიკასა და გამძლეობას ტექნიკა-ინდივიდუალიზმი არ უნდა შეეწიროს — მით უმეტეს, როცა ამ კომპონენტში ძლიერი ხარ...

**ილია ნანობაშვილი**



ვლადიმერ გოჩაშვილმა კურორტიდან რკინიგზას მიაშურა



დავით გვარამაძე ახალგაზრდა „ლოკომოტივს" სიტყვითაც და საქმითაც შეეშველება

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ტელეფონის შავი სია



პასკუალე ფორტი ეჭვმიტანილია

**როგორც** გაირკვა, კალჩოპოლიმ ახალ, სამასგვერდიან სატელეფონო სტენოგრამაში არა ორი, არამედ ოთხი კლუბის საეჭვო ზარები ამოკითხა. ცნობილი გახდა მათი ვინაობაც — „რეჯინა", „მესინა", „ლეჩე" და „სიენა".

იტალიის ფეხბურთის ფედერაციის მმართველი გვიდო როსი და კალჩოპოლის მთავარი გამომძიებელი ფრანჩესკო ბორელი ამ სტენოგრამას დაწვრილებით უკირკიტებენ და თუ რამე ხელჩასავლები აღმოაჩინეს, დამნაშავე კლუბებს კარგი დღე რომ არ დაადგებათ, „იუვენტუსის", „ლაციოს", „ფიორენტინასა" და „მილანის" მაგალითებზეც ვიცით. თუმცა, რამდენი ხანი გაგრძელდება გამოძიება, ჯერ უცნობია, არადა, ახალი სეზონი უნდა დაიწყოს.

„ამას გამოძიების მეორე ნაწილს არ დავარქმევ. მე და ჩემი გუნდი იმავე გამოძიებას გავაგრძელებთ. იგი ჯერ არ დასრულებულა. როგორც კი რაიმე ახალი ფაქტი ჩნდება, ვცდილობთ, მისგან მაქსიმუმი მივიღოთ. ასე იქნება ახლაც" — თქვა ბორელიმ.

ამ კლუბებიდან მთავარი ეჭვმიტანილი ამჟამად „რეჯინაა". რეჯო კალაბრიელთა პრეზიდენტ, პასკუალე ფორტის, ძალიან ბევრჯერ აქვს დარეკილი სამსაჯო კომიტეტის ერთ-ერთ ჩინოვნიკ პაოლო ბერგამოსთან და „იუვენტუსის" ყოფილ დირექტორ, ამ სკანდალის მოთავე ლუჩანო მოჯისთან. პირველ რიგში, ალბათ, 2004 წლის 4 დეკემბრის სატელეფონო საუბარს შეისწავლიან. მეორე დღეს „რეჯინა" „ბრეშას" ეთამაშა.

კონკრეტულ, საეჭვო მატჩზეა საუბარი „ლეჩეს" შემთხვევაში. 2004-05 წლების სეზონის ბოლო ტურში „ლეჩე"-„პარმა" 3:3 დასრულდა. ამ ფრით ლეჩელებმა სერია **A**-ში დარჩენა გაინაღდეს, ხოლო პარმელებმა პლეი ოფში თამაშის უფლება მოიპოვეს, რომელშიც „ბოლონიას" სძლიეს და დარჩნენ კიდეც უმაღლეს ლიგაში. ერთი სიტყვით, ფრე მეტ-ნაკლებად ორივე გუნდს აძლევდა ხელს. პირველ რიგში, „ლეჩეს", რომლის თავკაცი ზდენეკ ზემანი გაკვირვებული იყო ამ შეხვედრაში თავისი ფეხბურთელების თამაშით, რალაც უცნაურად ირჯებოდნენო.

დაწვრილებით შეისწავლიან ოთხივე კლუბის ურთიერთობას „იუვენტუსთან" და, კერძოდ, მოჯისთან. აღსანიშნავია, რომ გასულ სეზონში „სიენას" ექვსი ფეხბურთელი ჰყავდა ნათხოვარი ტურინული კლუბიდან...

**გიორგი ძაძამიძე**





# აგენტური ხუმრობა

## B იყოს, ჯილდო მოიგოს

**ჯანლუიჯი ბუფონი** „იუვენტუსში" რჩება. ყოველ შემთხვევაში, მისი აგენტი ასე ამბობს. თუმცა სატრანსფერო ფანჯრის დახურვამდე ჯერ კიდევ დიდი დროა დარჩენილი და თუ სათანადო ვარიანტი გამოჩნდა, ალბათ, „ბებერი ქალბატონიც" და 28 წლის მეკარეც განშორებაზე შეთანხმდებიან, რადგან მსოფლიოს საუკეთესო მეკარე სერია **B**-ში ცოტა ძნელი წარმოსადგენია.

„ჯიჯი „იუვენტუსში" რჩება და მზად არის, სერია **B**-ში ითამაშოს. მას სერია **B** არასოდეს მოუგია და ახლა უნდა, ამ ტიტულის მოპოვებაც სცადოს" — ნახევრად ხუმრობით აღნიშნა ბუფონის აგენტმა სილვანო მარტინამ.

2001 წელს მეკარისთვის არნახულ ფასად, 33 მილიონ გირვანქად „პარმადან" „იუვენტუსში" გადასული ბუფონის მთავარი მსურველი „მილანი" იყო. თუმცა „როსონერიმ" კრისტიან აბიატი, რომელიც წესით ფულთან ერთად ტურინელებისთვის უნდა დაეთმო ჯიჯის სანაცვლოდ, „ტორინოში" გაუშვა. ამან ტრანსფერის შესაძლებლობა მინიმუმამდე დაიყვანა. თანაც მილანელები ჩემპიონთა ლიგაში მაინც ვერ ითამაშებენ.

„რომას" უნდოდა, ეთხოვა ბუფონი, მაგრამ „იუვენტუსმა" ეს წინადადება არც განიხილა. ბუფონი „სკუადრა აძურას" კარის დარაჯია და თუ ტურინელები მასთან განშორებას გადაწყვეტდნენ, მხოლოდ სათანადო ფასად. „იუვე" ჯიჯის განათხოვრებას არ აპირებს" — დასძინა მარტინამ.

შეგახსენებთ, რომ ბუფონმა გასული სეზონის დაწყებამდე სერიოზული ტრავმა მიიღო, რის გამოც რამდენიმე თვე გაუცდა. თუმცა მან სრულფასოვნად დაბრუნება შეძლო და კლუბთან ერთად სკუდეტოც მოიპოვა, რომელიც ახლა ჩამოართვეს. ეროვნულ ნაკრებთან ერთად კი მსოფლიოს ჩემპიონატი მოიგო და ბრწყინვალედ ითამაშა. იგი მუნდიალის საუკეთესო მეკარედ დაასახელეს.

იტალიური პრესის ცნობით, პაველ ნედვედმა გადაწყვიტა, ალესანდრო დელ პიეროს მიჰბაძოს და „იუვენტუსი" გაჭირვების ჟამს არ მიატოვოს. როგორც ჩანს, მათ ბუფონიც ემატება და „ბებერი ქალბატონის" შეფობას ეიმედება, რომ ფეხბურთელებს გუნდის სხვა ლიდერებიც მიჰბაძავენ.

**გიორგი ძაძამიძე**

# არგენტინა ბაზილეს სთხოვეს

**არგენტინის** ნაკრების მწვრთნელად შესაძლოა, ალფიო ბაზილე დაბრუნდეს, სპეციალისტი, რომელიც „ალბისელესტეს" 1990-94 წლებში თავკაცობდა. მაურისიო მაკრიმ, „ბოკა ხუნიორსის" პრეზიდენტმა, ჟურნალისტებთან დაადასტურა, რომ არგენტინის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა გრონდონამ ამჟამად „ბოკას" მწვრთნელ ბაზილეს სთხოვა, ქვეყნის მთავარი გუნდი ჩაიბაროს. ნაკრების აწ უკვე ექსდამრიგებელმა პეკერმანმა კი გუშინ გვიან ღამით განაცხადა გადადგომის შესახებ.

„გრონდონამ ბაზილეს დაურეკა და სთხოვა, ნაკრების მწვრთნელად დაბრუნებულიყო. ჩვენ მოფიქრებისთვის დრო ვითხოვეთ, ხოლო ბაზილემ პრეზიდენტს უპასუხა, რომ გადამწყვეტი სიტყვა ამ საქმეში „ბოკა ხუნიორსს" ეკუთვნის" — თქვა მაურისიო მაკრიმ პრესკონფერენციაზე.

**ლადო ხომერიკი**



ალფიო ბაზილე

# ესპანურ სუფრაზე იუვე ტორტივით დაჭრეს

## ორი ნაჭერი რეალს, ორიც ბარსას





ემერსონი



ფაბიო კანავარო

**სერია B**-ში ჩაძირული „იუვენტუსის" ფეხბურთელები ესპანურ პრიმერადივიზიონში მიდიან საბურთაოდ. გუშინ ტურინში დიდი გარიგება შედგა — ფაბიო კანავარო და ბრაზილიელი ემერსონი მადრიდის „რეალში" წავიდნენ, ხოლო ლილიან ტურამმა და ჯანლუკა ძამბროტამ კატალონიური „ბარსელონა" აირჩიეს...

იტალიაში დიდი მოლაპარაკება მადრიდელთა მხრიდან კლუბის სპორტულმა დირექტორმა პრედრაგ მიატოვიჩმა და მისმა თანაშემწე ფრანკო ბალდინიმ, ხოლო ბარსელონელებიდან ვიცე-პრეზიდენტმა ფერან სორიანომ და ტექნიკურმა დირექტორმა ჩიკი ბეგირისტაინმა დააგვირგვინეს.

თათბირს, ცხადია, „იუვენტუსის" წარმომადგენლები ესწრებოდნენ — ბეტეგა და სეკო. „რეალს" კანავაროს და ემერსონის შეძენა ერთად 23 მილიონი დაუჯდა, „ბარსამ" კი ძამბროტას და ტურამის სანაცვლოდ 20 მილიონი ევრო გაიღო.

„ძალიან საჭირო ორი ფეხბურთელი შევიძინეთ. ისინი გამოცდილი მოთამაშეები არიან და მწვრთნელი ფაბიო კაპელოც „სანტიაგო ბერნაბეუზე" სწორედ კანავაროს და ემერსონის მოყვანას გვთხოვდა" — აღნიშნა პრედგარ მიატოვიჩმა. ჩერნიგორიელ დირექტორს „რეალისთვის" ძამბროტაც უნდოდა, თუმცა საბოლოოდ გადაწყდა, რომ 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონი „კამპ ნოუზე" ითამაშებს... კანავარო და ემერსონი კი სამი სეზონით დარჩებიან „სანტიაგო ბერნაბეუზე".

„მნიშვნელოვანი ტრანსფერები განვახორციელეთ, ტურამი და ძამბროტა „ბარსელონას" დაცვას უფრო შეუვალს გახდიან" — განაცხადა კატალონიელთა ტექნიკურმა დირექტორმა ბეგირისტაინმა. „ბარსას" მომავალ სეზონში მართლაც ფანტასტიკური დაცვა ეყოლება. შეგახსენებთ, რომ ამ გუნდს ტურამთან და ძამბროტასთან ერთად პუიოლი, მარკესი, ბელეტი, ოლეგერი, ჯოვანი ვან ბრონკჰორსტი, სილვინიო და ედმილსონი ჰყავს...

**ლადო ხომერიკი**

ეროვნული ბიბლიოთეკა





ალექსანდრ და არკადი გაიდამაკები

# ალექსანდრ არკადის ძე

**ცნობილი** რუსი ბიზნესმენი, იერუსალიმის კლუბ „ბეითარის“ მფლობელ არკადი გაიდამაკის შვილი ალექსანდრ გაიდამაკი ოთხშაბათს ალბიონური „პორტსმუთის“ სრულუფლებიანი პატრონი გახდა. ანუ რუსთა ფინანსური შესევა ინგლისურ ფეხბურთში კვლავაც წარმატებით გრძელდება... თუმცა გაიდამაკის „პორტსმუთში“ გამეფება ადრეც მოსალოდნელი იყო...

ჯერ კიდევ 2 იანვარს კლუბის ოფიციალურ ვებ-გვერდზე გაჩნდა შეტყობინება, რომელშიც ნათქვამი იყო: „პორტსმუთის“ პრეზიდენტი მილან მანდარიჩი ალექსანდრ გაიდამაკს მიესალმება, როგორც კლუბის მმართველობაში საქმიან პარტნიორს“. მაშინ ცნობილი გახდა, რომ გაიდამაკს „პორტსმუთის“ აქციების 50 პროცენტი ეკუთვნოდა.

თავად რუს ბიზნესმენზე კლუბის ვებ-გვერდი იმ პერიოდისთვის შემდეგ გვატყობინებდა: „მისტერ ალექსანდრ გაიდამაკი ბიზნესმენი და საფრანგეთის მოქალაქე. იგი ბოლო ათი წლის განმავლობაში ევროპაში ცხოვრობს, სადაც თავისი ბიზნესინტერესები აქვს“.

ამის შემდეგ „მისტერ ალექსანდრ გაიდამაკი“ ბევრად უფრო ცნობილი გახდა, ვიდრე „საფრანგეთის მოქალაქე, რომელსაც ევროპაში თავისი ბიზნესინტერესები აქვს“. ფეხბურთი, მოგეხსენებათ, დიდ ბრიტანეთში სპორტის ნომერ პირველი სახეობაა და „პორტსმუთის“ ფანებმაც გაიდამაკის გამოჩენასთან ერთად მორიგ რუსულ სასწაულს მოუთმენლად დაუწყეს ლოდინი... ადრე, აბრამოვიჩი რომ „ჩელსიში“ პირველად მივიდა, იქაურმა ქომაგებმა ეს ნეგატიურად მიიღეს, თუმცა რუსმა „სტემფორდ ბრიჯი“ააყვავა და „პორტსმუთიც“ ამის მოლოდინშია აბრამოვიჩის თანამემამულისგან.

ალექსანდრ გაიდამაკი, რა თქმა უნდა, რომან აბრამოვიჩი არ არის, თუმცა...

გაიდამაკის მამა, არკადი, უკრაინაში დაიბადა და ოთხი პასპორტი აქვს (საფრანგეთის, კანადის, ისრაელის და ანგოლის). რუსეთის მოქალაქე არ არის, თუმც მოსკოვის ცენტრში უძრავი ქონების მფლობელი გახლავთ. უფროსი გაიდამაკი 70-იან წლებში სსრკ-დან ისრაელის ვიზით გავიდა, შემდეგ საფრანგეთში გადაბარგდა და იქ მუშაობა თარჯიმნად დაიწყო. 1995-96 წლებში ანგოლა — რუსეთის მოლაპარაკებას აწარმოებდა. აფრიკულ ქვეყანას ყოფილ საბჭოთა კავშირის სამართალმემკვიდრისთვის ვალის სახით 5,5 მილიარდი დოლარი ჰქონდა გადასახდელი... გაიდამაკი ანგოლისთვის რუსული იარაღის მიწოდების კომპანიაშიც იყო გარეული, საფრანგეთის ექსპრეზიდენტის ფრანსუა მიტერანის შვილთან ერთად.

რახან სკანდალების გამო არკადი გაიდამაკი პერსონა ნონ გრანტად იქცა, სხვა ქვეყნებს მიაშურა ბიზნესის საკეთებლად, სადაც უფრო გულითადად მიიღებდნენ.

უფროსი გაიდამაკი იერუსალიმის საფეხბურთო კლუბ „ბეითარს“ ფლობს და, ცხადია, როცა მისმა შვილმა „პორტსმუთი“ იყიდა, დაინტერესდნენ, ალექსანდრმა ეს მამის ზეგავლენით ხომ არ გააკეთაო. არკადი კი „პორტსმუთთან“ კავშირს თავგამოდებით უარყოფდა.

ახლა ალექსანდრ გაიდამაკი ინგლისური კლუბის აქციათა 100 პროცენტის მფლობელია. რუსმა სერბ მილან მანდარიჩისგან გამოისყიდა ის დარჩენილი 50 პროცენტი.

ძველი და ახალი მფლობელები შეხმატკბილებულად დაშორდნენ ერთმანეთს.

„ის, რაც მანდარიჩმა „პორტსმუთისთვის“ გააკეთა, შეუფასებელია“ — აღნიშნა ალექსანდრ გაიდამაკმა. „გაიდამაკზე უკეთეს ვარიანტს „პორტსმუთისთვის“ ვერც ვინატრებდი“ — განაცხადა კლუბის ყოფილმა მეპატრონე მანდარიჩმა.

ინგლისური პრემიერლიგა შარშან „პორტსმუთმა“ მეჩვიდმეტე ადგილზე დაამთავრა და ძლივს გადაურჩა დაბალ ლიგაში დაქვეითებას. გაიდამაკმა კი, რუსული გაზეთების ცნობით, 58,5 მილიონ დოლარად შეიძინა კლუბის აქციების საკონტროლო პაკეტი.

**ლადო ხომერიკი**

# მამა, მიყიდე რობერტო კარლოსი



პატარა ვაჟი ბრაზილიელის თავგადაკლული ფანია...

**„ჩელსის“** პრეზიდენტი რომან აბრამოვიჩი თანახმაა, მადრიდის „რეალთან“ რობერტო კარლოსის ტრანსფერის თაობაზე მოლაპარაკება განაახლოს. ინგლისური „მირორის“ ცნობით, აბრამოვიჩი ამას თავისი 12 წლის შვილს, არკადის, თხოვნით აკეთებს. პრეზიდენტის პატარა ვაჟი ბრაზილიელის თავგადაკლული ფანია...

ლონდონური კლუბის კარლოსით დაინტერესების შესახებ მსოფლიომ ზაფხულის დასაწყისისთვის შეიტყო. თუმც ბოლო ხანებში ბრაზილიელის ტრანსფერზე მედიაში თითქმის არ საუბრობდნენ. სავარაუდოდ, „ჩელსის“ ყურადღება უფრო არსენალელი ეშლი კოულისადმი იყო მიპყრობილი.

დღეს აბრამოვიჩი მზადაა, „რეალის“ მარცხენაფლანგელში 4 მილიონი გირვანქა (დაახლოებით 7,5 მილიონი დოლარი) გადაიხადოს. რობერტო კარლოსი კი მალე „რეალის“ მწვრთნელ კაპელოს და სპორტულ დირექტორ მიატოვიჩს კონტრაქტის გახანგრძლივების თაობაზე შეხვდება. არაა გამორიცხული, რომ „ჩელსიმ“ ეშლი კოულიც იყიდოს და რობერტო კარლოსიც.

ბრაზილიელმა მცველმა მისთვის და მისი ნაკრებისთვის უიღბლო 2006 წლის მუნდიალზე მიიღო მონაწილეობა. სამხრეთამერიკელთა ფრანგებთან წაგებაც ძირითად რობერტოს დაბრალდა — ტიერი ანრიმ გოლი კარლოსის პოზიციიდან შეაგდო. მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ კი რობერტო კარლოსმა განაცხადა, რომ ნაკრებიდან მიდის.

**ლადო ხომერიკი**

# მაშინ 14 წლისა ვიყავი




**იტალიელი** თავდამსხმელი ბერნარდო კორადი „მანჩესტერ სიტიში“ გადავიდა. 30 წლის ფეხბურთელმა ინგლისურ კლუბთან სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა. ესპანურმა „ვალენსიამ“ ამ ტრანსფერს ხელი არ შეუშალა, რადგან „ღამურების“ თავკაც კიკე ფლორესის გეგმებში კორადი არ შედიოდა.

საინტერესოა, რომ ეს ტრანსფერი გასულ ზაფხულს უნდა შემდგარიყო, მაგრამ მაშინ კორადიმ იჯარით „პარმაში“ გადასვლა არჩია, რათა სამშობლოში ეთამაშა და იტალიის ნაკრებთან ერთად მუნდიალზე წასვლის უფრო რეალური შანსი ჰქონდა. თუმცა „კიევოსა“ და „ლაციოს“ ყოფილმა თავდამსხმელმა მიზანს მაინც ვერ მიაღწია.

„ბედნიერი ვარ, რომ ბოლოს დაბოლოს, ტრანსფერი შედგა. შეთანხმებას შარშანაც აღარაფერი აკლდა, თუმც მერე „პარმაში“ თამაში ვარჩიე. მართალია, მუნდიალზე მაინც ვერ მოვხვდი, მაგრამ კარგი სეზონი მქონდა და იმედია, მომავალი უკეთესი იქნება. 14 წლის ასაკიდან მსურდა პრემიერლიგაში თამაში. ოცნება ჩვენი მთავარი მწვრთნელის სტიუარტ პირსის წყალობით ამიხდა. მან დამირეკა და მითხრა, რომ ვჭირდებოდი, რისთვისაც მადლობელი ვარ“ — თქვა კორადიმ „სიტის“ ოფიციალურ ვებგვერდზე.

სტიუარტ პირსი: „მიხარია, რომ ბერნარდო ახლა ჩვენთანაა. მისი დამატება უკვე რა ხანია, მინდოდა, იგი „სიტის“ ძალიან გააძლიერებს“.

ალვნიშნოთ, რომ კორადიმდე მანჩესტერელებმა კიდევ ოთხი საკმაოდ გამოცდილი და ცნობილი მოთამაშე დაიმატეს — დიტმარ ჰამანი, პოლ დიკოვი, ოსმან დაბო და ჯო ჰარტი.

**გიორგი ქაქაბაძე**

# მახო მოსულა
## ლაპორტას ჩაატარებინებენ



ხუან ლაპორტა

**არსებობის** 107 წლის განმავლობაში პირველად ხდება, რომ კატალონიურ „ბარსელონას“ არჩევნებს სასამართლოთი უწესებენ. მოსამართლე რობერტო გარსია სენისეროსის გადაწყვეტილებით, კატალონიურმა გრანდმა საპრეზიდენტო არჩევნები წლეულსვე უნდა ჩაატაროს და არა 2007-ში, როგორც ადრე იყო ცნობილი. რა ხდება?

რა და, „ბარსელონას“ წესდებით, საპრეზიდენტო არჩევნები ოთხ წელიწადში ერთხელ უნდა გაიმართოს. კატალონიური კლუბისთვის კი წელი ივლისიდან ივლისამდეა, ანუ მაშინ, როცა სეზონის ეკონომიკურ ანგარიშს აბარებენ... ახლანდელი პრეზიდენტის, ხუან ლაპორტას საბჭომ ოფიციალურად მოვალეობის შესრულება 2003 წლის 22 ივნისს დაიწყო, „ახალი წლის“ დადგომამდე სულ რამდენიმე დღით ადრე... ჰოდა, სენიორ მოსამართლემ სენიორ ლაპორტას ის რამდენიმე დღე მმართველობის 1 წლად ჩაუთვალა და საფეხბურთო კლუბ „ბარსელონას“ ახალი არჩევნების დაუყოვნებლივ ჩატარება მოსთხოვა... დღეს ლაპორტა საგანგებო საბჭოს მოიწვევს, სადაც არჩევნების თარიღი უნდა დაადგინონ.

ხუან ლაპორტას გარდა ჯერჯერობით, „ბარსას“ პრეზიდენტობის კიდევ სამი კანდიდატია — ხორდი მახო, ხოსეპ მარი მინგელა და ხორდი მედინა. სამივე ბატონი 2003 წლის არჩევნებშიც მონაწილეობდა.

**ლადო ხომერიკი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მონანიე მყნოსველი


შონ ნიუტონი

**„ვესტ ჰემის“** ნახევარმცველი შონ ნიუტონი საშობაოდ დაუბრუნდება ფეხბურთს: კოკაინზე ჩავარდნის მიუხედავად.

ნიუტონი „ვესტ ჰემი“ — „მიდლსბროს“ სათასო ნახევარფინალის შემდეგ ჩავარდა ტესტირებაზე.

ეს აპრილში იყო, დისკვალიფიკაცია კი მაისში დაიწყო და ახლა უქმობის თვეებიც მიითვალა. თავიდან ამბობდნენ, ამ დროს ნიუტონი „ვესტ ჰემის“ ბავშვთა მწვრთნელობაში გაატარებს, მაგრამ ნაწყენმა მენეჯერმა ალან პერდიუმ ამის უფლება არ მისცა. ამის მიუხედავად, შერცხვენილი ფეხბურთელი კლუბმა არ განაგდო, შინაურულად კი დასაჯა, მაგრამ: „ვესტ ჰემი“ ყოველთვის ოჯახი იყო და ახლაც ასეა — თქვა პერდიუმ — ის ახალგაზრდა კაცია და ახლადშექმნილი ოჯახი აქვს. მას უნდა დავეხმაროთ“.

თავად ნიუტონი ძალიან ნანობს, რომ მეგობართან კოკაინი შეიყნოსა. მძიმე დღეები მედგა და ამიტომ დამემართა, მაშინაც ვიცოდი, რომ სისულელეს ჩავდიოდიო.

პროფესიონალ ფეხბურთელთა ასოციაციის შეფმა გორდონ ტეილორმა თქვა: „შონი კარგი ბიჭია. ვიცოდი, რომ ბევრს ნერვიულობდა დედის ავადმყოფობაზე“.

მოკლედ, საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ ნიუტონი სრულფასოვნად დაუბრუნდება გუნდს.

ინგლისში წელიწადში 1600 ნარკოშემოწმება ტარდება ფეხბურთელთა შორის. დისკვალიფიკაციის თვეებში ნიუტონს კიდევ არაერთი ტესტის გავლა მოუწევს.

**ირაკლი გამყრელიძე**


დუგ ელისი


დევიდ ოლირი

# ოლირი მოისროლეს

**წუხელ** დევიდ ოლირი მოხსნეს.

„ასტონ ვილას“ ტანჯულმა მენეჯერმა მთელი დღე იმის სმენაში გაატარა, თუ როგორ დაანგრია გუნდი. ღამის ათ საათზე მილიონიანი კომპენსაცია მიიღო და 82 წლის თავმჯდომარეს დუგ ელისს გამოეთხოვა. გუშინ ვიუწყებოდით, რომ ოლირის ბობოლა ფეხბურთელებიც აუხირდნენ, თუმცა, თავიდან ისე ჩანდა, რომ მოთამაშეები უფრო ძუნწი თავმჯდომარის წინააღმდეგნი იყვნენ.

მოთამაშეთა განცხადების და ჯანყის წამოწყებიდან ოთხი დღის თავზე, მენეჯერი მოიხსნა.

„ვილას“ ოფისთან შეკრებილმა ფანობამ ოლირის მიაძახა: „ბებერიც წაიყოლე!“

ახლა ამბობენ, რომ მოთამაშეთა საპროტესტო განცხადების უკან, რომელსაც რამდენიმე ავტორიტეტული ფეხბურთელი აწერდა ხელს, ოლირი იდგა.

კლუბმა გამოაცხადა, რომ განცხადება პროვოცირებული იყო და ელისმა საკლუბო ტელეფონების ჩანაწერების შემოწმებაც კი ბრძანა.

ოლირის მოხსნას მოჰყვა ვილას განცხადება: „კლუბმა შიდა გამოძიება აწარმოა და მენეჯერი დევიდ ოლირი ამის საფუძველზე დაითხოვა. ეს იყო ყველასთვის მისაღები გადაწყვეტილება“.

დღის მანძილზე მოწინავე ფეხბურთელები: ხუან პაბლო ანხელი და ტომას სორენსენი „ვილას“ თანამდებობის პირებს ხვდებოდნენ.

ოლირი ადრიდანვე ითხოვდა ფულს ახალი ფეხბურთელების შესაძენად, თუმცა, ელისმა შაბათსვე თქვა, თანხებს არ გამოვალო.

ახლა „ვილა“ მენეჯერის ძებნაშია. კვლავ ასახელებენ ალან კერბიშლისა და მარტინ ონილს.

*ოლირის კარიერა:*

„არსენალის“ ყოფილი მცველი 1998 წლის ოქტომბერში „ლიდსის“ მენეჯერი ხდება. იმ სეზონში „ლიდსი“ მეოთხე ადგილზე გადის და ამისდაკვალად უეფას თასის ნახევარფინალს აღწევს.

2001 — „ლიდსი“ ჩემპიონთა თასის ნახევარფინალშია.

2002 — მძიმე სეზონის შემდეგ „ლიდსი“ მეხუთეა ლიგაში, ზაფხულში ოლირი გუნდს ტოვებს.

2003 წლის მაისში „ასტონ ვილას“ მენეჯერი ხდება.

2004 — „ვილა“ მეექვსე ადგილზე გადის. ბოლო ტურში „მანჩესტერთან“ მარცხი რომ არა, უეფას საგზურს მოიპოვებდა.

2006 — „ვილა“ 16-ე ადგილზე ამთავრებს პრემიერლიგას.

**ირაკლი გამყრელიძე**

# კრისტიან ვიერი ლურსმანს მძებს



**ვეტერანმა** იტალიელმა ფორვარდმა კრისტიან ვიერიმ შესაძლოა, კარიერა დაასრულოს. არადა, მან სულ რამდენიმე დღის წინ გააფორმა ერთწლიანი კონტრაქტი „სამპდორიასთან“. თუმცა დიდი შანსია, „ბობო“ გენუელთა მაისურით ვერც ვიხილოთ. აქაოდა, მოტივაცია დავკარგე და ეგებ დროა, ბუცები ლურსმანზე ჩამოვკიდოო.

33 წლის თავდამსხმელი „სამპდორიას“ მომავალი სეზონისთვის მოსამზადებელ ვარჯიშებზე ჯერ არ შეერთებია, რადგან ამ ზაფხულს მიღებული მუხლის ტრავმა, რომელმაც მუნდიალზე წასვლის ყოველგვარი შანსი მოუსპო, ჯერაც არ მოუშუშებია.

ვიერის კარიერა „პრატოში“ დაიწყო, რასაც დიდი მოგზაურობა მოჰყვა — „ტორინო“, „პიზა“, „რავენა“, „ვენეცია“, „ატალანტა“, „იუვენტუსი“, „ატლეტიკო“ და „ლაციო“. შემდეგ იგი 6 წლით დამკვიდრდა „ინტერში“, რომელშიც თავის დროზე სარეკორდო თანხად, 31 მილიონ გირვანქად გადავიდა.

გასული სეზონის დასაწყისში „ბობომ“ „ნეროაძურის“ მოსისხლე მტერ „მილანს“ მიაშურა, სადაც ექვსი თვე ძირითადად სათადარიგოთა სკამზე იჯდა. იანვარში იგი „მონაკოში“ გადაბარგდა და ფეხი ვერც ფრანგულ კლუბში მოიკიდა. რა იქნება ახლა, როგორც ჩანს, ჯერ თავად ვიერიმაც არ იცის, ვისაც „სკუადრა აძურას“ რიგებში 49 მატჩი ჩაუტარებია და 23 გოლი გაუტანია.

**კოკი კანდელაკი**

# პალერმოს ბოვო მოსტყდა

**იტალიურ** „პალერმოს“ სულ ცოტა, ორი თვით დააკლდება ახალგაზრდა, ნიჭიერი მცველი ჩეზარე ბოვო. „პარმასა“ და იტალიის ოცდაერთწლამდელთა ნაკრების ყოფილმა ფეხბურთელმა ერთ-ერთ ვარჯიშზე ფეხი მოიტეხა. სიცილიელები ახლა ავსტრიაში იმყოფებიან და მომავალი სეზონისთვის იქ ემზადებიან.



„პალერმოს“ ახლა, ალბათ, ახალი მცველის ყიდვა მოუწევს, რადგან, ექიმების თქმით, ბოვოს სარეაბილიტაციო პერიოდმა ეგებ ორ თვეზე მეტს გასტანოს. სიცილიელები კი მასზე დიდ იმედებს ამყარებდნენ. იგი დაცვის ერთ-ერთი ბურჯი უნდა ყოფილიყო.

ბოვოს ეს ტრავმა, ალბათ, ორმაგად დასწყვეტს გულს, რადგან მას მომავალ თვეში „სკუადრა აძურას“ რიგებში სადებიუტო თამაშის ჩატარების შანსი ჰქონდა. სავარაუდოდ, იტალიელთა ახალი მთავარი მწვრთნელი რობერტო დონადონი 16 აგვისტოს ხორვატიასთან ამხანაგურ მატჩში რამდენიმე ახალ ფეხბურთელს გამოცდის და წესით, პალერმოელიც მათ შორის უნდა ყოფილიყო. ბოვო არც მეტი, არც ნაკლები, თვით ფაბიო კანავაროს მომავალ შემცვლელად მოიაზრება.

**კოკი კანდელაკი**

# ჰაგუი ბაიერს

**„ლევერკუზენმა“** ტუნისის ნაკრების მოთამაშე ქარიმ ჰაგუი იყიდა. ჰაგუი მცველია, ვინაც აქამდე საფრანგეთში, კერძოდ „სტრასბურში“ თამაშობდა, რომელიც პირველი ლიგიდან გავარდა და ტუნისელმაც „ბაიარენას“ მიაშურა, სადაც სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

ზუსტად არ არის ცნობილი, მაგრამ ამბობენ, რომ „ლევერკუზენმა“ დაახლოებით 3 მილიონი დოლარი გადაიხადა.

ცნობილია, რომ ქარიმ ჰაგუის შეძენა „რენსაც“ უნდოდა, მაგრამ 22 წლის მცველმა გარემოს გამოცვლა ამჯობინა.

ქარიმ ჰაგუი 2004 წელს აფრიკის თასის მფლობელი შეიქნა, ხოლო ამ ზაფხულს, მსოფლიოს ჩემპიონატზე გამორჩეული მხოლოდ ის გაააკეთა, რომ უკრაინასთან შეხვედრაში პენალტით დაისაჯა. ის პენალტი ანდრეი შევჩენკომ გაიტანა.

**პაპუნა კედია**

# რუმენიგემ ნისტელროი დაიფიცა



**მიუნხენის** „ბაიერნის“ ხელმძღვანელობა ირწმუნება, რომ რუუდ ვან ნისტელროის „ალიანს არენაზე“ გადაბარგება სურს, თუმცა გერმანელებს „მანჩესტერ იუნაიტედისთვის“ ალბათ, უფრო დიდი თანხის შეთავაზება მოუწევთ, ვიდრე აქამდე სთავაზობდნენ.

„ბაიერნი“ მზად არის, ჰოლანდიელში 13 მილიონი ევრო გადაიხადოს, თუმცა „წითელი ეშმაკების“ მწვრთნელმა სერ ალექს ფერგიუსონმა ახლახან მადრიდის „რეალის“ 14-მილიონიან წინადადებაზე თქვა უარი, 18 მინდაო.

„რუუდს ჩვენთან გადმოსვლა უნდა და იმედია, ასეც მოხდება“ — მოკლედ აღნიშნა „ბაიერნის“ პრეზიდენტმა კარლ-ჰაინც რუმენიგემ.

გასულ სეზონში სათადარიგოთა სკამს გაშინაურებულმა და ფერგიუსონთან წაჩხუბებულმა ვან ნისტელროიმ კი უკვე განუცხადა „მანჩესტერის“ უფროსობას, წასვლა მინდაო და, ალბათ, იქ გამჩერებელი აღარ არის.

30 წლის ფორვარდი „ოლდ ტრეფორდზე“ 2001 წელს პსვ-დან გადავიდა. „მანჩესტერში“ რიგებში 150 მატჩი ჩაატარა და 95 გოლი შეაგდო.

**გიორგი კაკაბაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ფაბიო კაპელო: მოულოდნელობის ეფექტი და თავისუფლება

(დასაწყისი წინა სარბიელში)

მაესტრო კაპელო ტოტის ბრალდებას წამსვე გამოეხმაურა: „დიდი ხანია, ტოტის აზრს აღარ ვითვალისწინებ. ვიცი, რა კაციცაა, მაგრამ მისი გამოსწორება დაგვიანებულია... ფრანჩესკო სისხლით და ხორცით რომაელი? კარგი ერთი, ნუ გამაცინებთ. უბრალოდ, საზოგადოებამ ის ამბავი არ იცის, ტოტი „რომას" პრეზიდენტს გაგანია ფინანსური კრიზისის დროს რომ მიეჭრა და ხელფასის მომატება მოსთხოვა — თუ ჯამაგირს არ მომიმატებთ, „მილანში" წავალო... თუმცა მე ახლა ამაზე ლაპარაკს არ ვაპირებ, თუ ტოტის ხალხისთვის რაიმეს თქმა უნდა, თავად აღიაროს... უბრალოდ, გული მტკივა, რომ ფრანჩესკოს, მართლაც ნიჭიერ ყმაწვილზე დე როსიზე ამხელა გავლენა აქვს". ეს იყო და ტოტიმაც მოკეტა. აბა, რაღა ჰქონდა სათქმელი...

სანამ რომში კაპელოს გინებით იყვნენ გართული, დონ ფაბიოს „იუვენტუსი" დიდებისკენ მიჰყავდა. საბოლოოდ „შავ-თეთრებთან" ერთად ორი სკუდეტო მოიგო, სამომავლო გეგმებიც რიხიანი ჰქონდათ, მაგრამ... პროკურატურა, თამაშების ჩაწყობასთან დაკავშირებული სკანდალები და სერია B-ში მიმავალ „იუვენტუსს" გამარჯვების სულისჩამდგმელი კაპელო ტოვებს... და ისევ მადრიდის „რეალი" ჩნდება ჰორიზონტზე, გუნდი, რომელმაც კაპელოს ბედისწერის იტალიური ჯაჭვი უკვე ხელმეორედ გაწყვიტა...

ახლა მაესტრო სამეფო გუნდს 2006-07 სეზონისთვის ამზადებს. კაპელოს და „რეალის" ახალი თავგადასავლიდან რა გამოვა, ამას დრო უჩვენებს. თუმც აქედანვე ცხადია, ფაბიოს კლუბი არატიპური „რეალი" იქნება, დაცვაზე გადამკვდარი, რაც სამეფო თეთრებს ტრადიციულად არ მოსდგამთ...

„კაპელო თვლის, რომ კარგი დაცვა წარმატებული იერიშის საწინდარია. „იუვენტუსში" ზუსტად ასე იყო, შედეგები თავისას ამბობენ. ჩვენ შეტევაშიც მაგრები ვართ და დაცვაშიც ძლიერები" — ამბობს მაესტროს ყოფილი შეგირდი ფრანგი პატრიკ ვიეირა.

მადრიდულ ინჩადას კი ეშინია, კაპელო „რეალის" „კატენაჩოს", ანუ ყრუ დაცვის მიმდევარ გუნდად გადააქცევსო. „სანტიაგო ბერნაბეუზე" საკმარისად და, შეიძლება ითქვას, ზედმეტადაც არიან მოიერიშეები, მაგრამ გულშემატკივართა შფოთი კვლავაც გრძელდება... ესპანური „ასის" მიხედვით კი, ფაბიო კაპელო იმიტომაა გენიოსი, შეტევას და დაცვას რომ აწონასწორებს.

„კაპელოს ინდივიდუალისტთა არეული ჯგუფიდან მრისხანე, ერთ მუშტად შეკრული გუნდის შექმნა შეუძლია. ინჩასებს შიშის საფუძველი არ აქვთ, ისინი მომავალ სეზონში საოცარ „რეალს" ნახავენ" — ვკითხულობთ ამ გაზეთში.



ეს იყო „რომაში": ანტონიო კასანო, ფაბიო კაპელო და ფრანჩესკო ტოტი

ახლა დონ ფაბიოს პირად თვისებებზეც ვთქვათ. ვნახოთ, ძვირადღირებული, მაგრამ ძველი და მორყეული მანქანის (ანუ „რეალის") კაპიტალური რემონტი ვის ჩააბარეს...

1. სიმკაცრე და პრინციპიალურობა. ეს ორი თვისება „პროფესორის" სავიზიტო ბარათია. ამით კაპელო ჯერ კიდევ ლეგენდარულ „მილანში" მწვრთნელობისას გახდა სახელგანთქმული. არადა, იქამდე ახალგაზრდა მაესტრო მხოლოდ 5 თამაშზე წარუძღვა გუნდს, სულ ეს იყო მისი გამოცდილება. „მილანის" პატრონმა ბერლუსკონიმ მაინც გარისკა და რისკმაც გაამართლა. ერთი შეხედვით „ნორჩმა" კაპელომ თავისი რკინის ხასიათით მილანელი ვარსკვლავების მოთოკვა შეძლო. ჭირვეული ფეხბურთელები მწვრთნელში თავიდან მიამიტ კაცს ხედავდნენ, რამდენიმე ხნის მერე კი „სან სიროზე" აღარ არსებობდა ისეთი ცნება, როგორიცაა „ხელშეუხებელი ვარსკვლავი"...

ტოტისთანაც „რომაში" მსგავსი „რევოლუციები" მოხდა. ფრანჩესკომ „პროფესორს" პირველი ვარჯიში გაუცდინა — ავად ვიყავიო. მეორედ რომ მოვიდა ტოტი საწვრთნელ მოედანზე „სულ რაღაც" 40 წუთის დაგვიანებით, კაპელომ გრძნობებს გასაქანი მისცა და ბედკრულ რომაელს საშინელი რისხვა დაატეხა თავზე. გაილანძღა თავად ტოტი, მისი მშობლები (რომლებმაც, მწვრთნელის აზრით, ფრანჩესკო ცუდად აღზარდეს, და ის საცოდავი მეგობარიც, ვისთან შეხვედრაც ტოტიმ გასასამართლებელ საბუთად მოიტანა — ძველი ძმაკაცი შემხვდა და როგორ არ გამოველაპარაკებოდიო). „რომაში" კი მაშინათვე მიხვდნენ, „მგლების ხროვის" მეთაური ვინც არის".

2. ემოცია

„რომაში" მწვრთნელობის პერიოდში ფაბიომ კიდევ ერთი ჭირვეული მოარჯულა, ფრანჩესკო ტოტის ძმაბიჭი ანტონიო კასანო (ვინც ახლა „რეალში" გახლავთ). ერთ-ერთ ვარჯიშზე კასანო ტოტის წამხედურობით დაგვიანებით მოვიდა. მერე, ვითომაც არაფერიო, საწვრთნელ მოედანზე მოსულ გოგოებს ელლაბუცებოდა, მაშინ როცა დანარჩენები ვარჯიშისგან ოფლად ილვრებოდნენ. „შენ ხომ არ გამოსულელდი, პლეიბოი, იქნებ, ქალებს შეეშვა და ფეხბურთს მიხედო?!" — საშინელი ხმით უღრიალა კაპელომ. ანტონიო კასანო განრისხებულ მაესტროს გასახდელში გაექცა, მაგრამ ფაბიომ იქიდან გამოაგდო და აიძულა, თანაგუნდელებისთვის ბოდიში მოუხადა...



დანიელე დე როსი ფრანჩესკო ტოტიმ გადარია

3. საკუთარი ფეხბურთელებისადმი ნდობა და ერთგულება. რომში ერთ-ერთი მატჩის შემდეგ ვიღაც ჟურნალისტი დანიელე დე როსის გადაეკიდა და კაპელოს შეკითხვებით გული გაუწყალა — რად გინდა გუნდში ეგ ბიჭი, უმაქნისიაო. „პროფესორმა" ცნობისმოყვარე კაცს მოთმინებით აუხსნა, რომ დე როსის პირადი პრობლემები აქვს. „ვიცი, რომ მას ახლო მეგობარი გარდაეცვალა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს პროფესიონალმა თამაში ჩააგდოს" — დაიჟინა ჟურნალისტმა. „შენ შენი საუკეთესო მეგობრის ვინაობა მითხარი. მე წავალ, იმას მოვკლავ და ერთი ვნახოთ, მეორე დღეს სტატიას რა აღმაფრენით დაწერ" — უყვირა კაპელომ.

„რეალის" მეტოქეებს მომავალ სეზონში ბევრი თავსატეხი ექნებათ...

**ლადო ხომერიკი**

## ფაბიო კაპელო იტალიაში

| | | თ | მ | ფ | წ |
|---|---|---|---|---|---|
| 1986-87 | მილანი | 5 | 2 | 2 | 1 |
| 1991-92 | მილანი | 34 | 22 | 12 | 0 |
| 1992-93 | მილანი | 34 | 18 | 14 | 2 |
| 1993-94 | მილანი | 34 | 19 | 12 | 3 |
| 1994-05 | მილანი | 34 | 17 | 9 | 8 |
| 1995-06 | მილანი | 34 | 21 | 10 | 3 |
| 1997-08 | მილანი | 34 | 11 | 11 | 12 |
| 1999-00 | რომა | 34 | 14 | 12 | 8 |
| 2000-01 | რომა | 34 | 22 | 9 | 3 |
| 2001-02 | რომა | 34 | 19 | 13 | 2 |
| 2002-03 | რომა | 34 | 13 | 10 | 11 |
| 2003-04 | რომა | 34 | 21 | 8 | 5 |
| 2004-05 | იუვენტუსი | 38 | 26 | 8 | 4 |
| 2005-06 | იუვენტუსი | 38 | 27 | 10 | 1 |

## მადრიდის „რეალის" მწვრთნელები ფაბიო კაპელოს შემდეგ

| | | | თ | მ | ფ | წ | ბ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ფაბიო კაპელო | 01.07.96 | 23.06.97 | 42 | 27 | 11 | 4 | 85:36 |
| იუპ ჰაინკესი | 01.07.97 | 30.05.98 | 38 | 17 | 12 | 9 | 63:45 |
| გუს ჰიდინკი | 01.07.98 | 20.02.99 | 23 | 11 | 4 | 8 | 44:36 |
| ჯონ ტოშაკი | 22.02.99 | 07.11.99 | 26 | 13 | 7 | 6 | 54:45 |
| ვისენტე დელ ბოსკე | 18.11.99 | 23.06.03 | 201 | 112 | 49 | 40 | 396:230 |
| კარლოს კეიროში | 30.06.03 | 23.05.04 | 48 | 27 | 10 | 11 | 90:65 |
| ხოსე ანტონიო კამაჩო | 24.05.04 | 19.09.04 | 4 | 2 | 0 | 2 | 2:4 |
| მარიანო გარსია რემონი | 20.09.04 | 29.12.04 | 19 | 10 | 5 | 4 | 34:17 |
| ვანდერლეი ლუშემბურგო | 30.12.04 | 04.12.05 | 42 | 28 | 4 | 10 | 81:43 |
| ხუან რამონ ლოპეს კარო | 12.05.06 | 15.05.06 | 24 | 12 | 9 | 3 | 45:24 |

# კენგურუმ ფეხი გამოყო

## მსოფლიო ჩვენთან ვათამაშოთ



რიჩარდ კებორნი



ჯონ ონილი

**ავსტრალიას** 2018 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლობა გადაუწყვეტია და სწამს, რომ კონკურსში გამარჯვების დიდი შანსი აქვს.

გათვლა სწორია: 2010 წელს მსოფლიოს ჩემპიონატი სამხრეთ აფრიკაში ტარდება, რაც იმას ნიშნავს, რომ 2014 წელს სამხრეთ ამერიკის ჯერი დგება და რიგითობის პრინციპიდან გამომდინარე, 2018 სრულიად შესაძლებელია მესამე კონტინენტზე გაიმართოს, სხვა ამბავია, რომ რიგითობის პრინციპი ფიფას ოფიციალურად ჯერ არ დაუმტკიცებია.

„ვფიქრობ, 2018 წლის მუნდიალზე პრეტენზია რეალისტურია — თქვა ავსტრალიის ფეხბურთის ფედერაციის აღმასრულებელმა შეფმა ჯონ ონილმა — მსოფლიოს ბოლო ჩემპიონატის დღეებში ჩვენი ფედერაციის პრეზიდენტი ფრენკ ლოუი ფიფას პრეზიდენტ ზეპ ბლატერს შეხვდა, ჩვენი გეგმები გაანდო და რამდენადაც ვიცი, პასუხად უარის ან გაფრთხილების მაგვარი არაფერი მოუსმენია. მოკლედ ენთუზიაზმით ვართ აღსავსენი".

კიდევ, ონილმა თქვა ის, რაც ისედაც ცნობილი იყო მთელი მსოფლიოსთვის — ავსტრალიას დიდი შეჯიბრებების მასპინძლობის გამოცდილება აქვს. შეგახსენებთ, რომ 2000 წლის ოლიმპიადა სიდნეიში გაიმართა, ხოლო 2003 წელს „კენგურუეთმა" რაგბის მსოფლიო თასს უმასპინძლა.

„მნიშვნელოვანია ისიც, რომ ჩვენ ძლიერ საფეხბურთო ქვეყანათა შორის ვართ — დასძინა ონილმა — ძალიან მეეჭვება ფიფამ მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლობა დააკისროს მის რეიტინგში მესე ადგილზე დაბლა მდგომ ქვეყანას. დღეს 33-ენი ვართ და თუ ოცეულში შესვლას მოვახერხებთ, ვფიქრობ, 2018 წლის მუნდიალის მასპინძლობის შანსი კიდევ უფრო გაგვეზრდება".

მაგრამ, ბუნებრივია, 2018 წლის მუნდიალის მასპინძლობა მხოლოდ ავსტრალიას არ სურს. მწვანე კონტინენტს კონკურენტი ჰყავს და თან გვარიანად ძლიერი — ინგლისი.

ბრიტანეთის სპორტის მინისტრი რიჩარდ კებორნი: „მგონი, 2018 წლის მსოფლიოს ჩემპიონატისთვის განაცხადის შეტანა ყველაზე ზედგამოჭრილია ჩვენთვის. როგორც სპორტის მინისტრისთვის, ჩემთვის ამ შესაძლებლობაზე უარის თქმა გაუგებარი იქნება. რაც შეეხება ინფრასტრუქტურას, საკმარისია შეხედოთ „არსენალის" ახალ სტადიონს და სხვა სარბიელებს, რომ მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო სტადიონები აღმოაჩინოთ. ჩვენ დაწვრილებით შევისწავლით საკუთარ პლუსებს და მინუსებს, რათა საკონკურსოდ სრულყოფილი პროექტი შევიტანოთ ფიფაში".

შეგახსენებთ, რომ ინგლისი ბოლოს, 1996 წელს მასპინძლობდა ევროპის ჩემპიონატს.

**ბაჩუნა ქედია**

# სექტემბრის პრეზიდენტი



თეო ცვანციგერი

**დოქტორი** თეო ცვანციგერი სექტემბერში დანიშნული საგანგებო ყრილობის შემდეგ გერმანიის საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტი გახდება.

დოქტორი ცვანციგერი ბოლო ორი წლის განმავლობაში ახლანდელ პრეზიდენტ, გერჰარდ მაიერ-ფორფელდერთან ერთად მუშაობდა საფეხბურთო კავშირში. 8 სექტემბერს დანიშნულ ყრილობაზე ის თანამდებობის ერთადერთი კანდიდატი იქნება — სხვა კანდიდატი არავის წამოუყენებია.

რაც შეეხება მაიერ-ფორფელდერს, 2004 წლის ივლისიდან ანუ გერმანიის ნაკრების მწვრთნელად იურგენ კლინსმანის დანიშვნის შემდეგ იგი გამუდმებული კრიტიკის ობიექტი გახლდათ და აშკარა იყო, რომ ნებისმიერი შედეგის მიუხედავად მსოფლიოს ჩემპიონატის წელიწადს თანამდებობიდან გადადგებოდა.

მაგრამ, დავუბრუნდეთ 61 წლის ცვანციგერს, რომელიც ამბობს:

„წარმოუდგენლად ბედნიერი ვარ, ასე რომ დავწინაურდები. ბოლო წლების განმავლობაში საფეხბურთო კავშირში ხაზინადარად და გენერალურ მენეჯერად ვმუშაობდი, ასე რომ, ჩემი კანდიდატურის პრეზიდენტად წარდგენას, გაწეული შრომის დაფასებად მივიჩნევ".

**ბაჩუნა ქედია**

## ავსტრია

### მაქსბუნდესლიგა. I ტური

აუსტრია — გრაცერი 0:0; ალტახი — პაშინგი 2:3; მატერსბურგი — რაპიდი 1:0; რიდი — ზალცბურგი 0:3; შტურმი — ტიროლი 2:3

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ზალცბურგი | 1 | 1 | 0 | 0 | 3:0 | 3 |
| პაშინგი | 1 | 1 | 0 | 0 | 3:2 | 3 |
| ტიროლი | 1 | 1 | 0 | 0 | 3:2 | 3 |
| მატერსბურგი | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 3 |
| გრაცერი | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 1 |
| აუსტრია | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 1 |
| ალტახი | 1 | 0 | 0 | 1 | 2:3 | 0 |
| შტურმი | 1 | 0 | 0 | 1 | 2:3 | 0 |
| რაპიდი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | 0 |
| რიდი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:3 | 0 |

## დანია

### სუპერლიგა. I ტური

ოლბორგი — ვიბორგი 3:1; ჰორსენსი — კოპენჰაგენი 0:1; ესბიერგი — სილკებორგი 2:1; ნორდსიელანდი — რანდერსი 5:0; ოდენსე — მიდტიულანდი 1:1; ბრონდბიუ — ვაილე 2:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნორდსიელანდი | 1 | 1 | 0 | 0 | 5:0 | 3 |
| ოლბორგი | 1 | 1 | 0 | 0 | 3:1 | 3 |
| ესბიერგი | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 3 |
| ბრონდბიუ | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 3 |
| კოპენჰაგენი | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 3 |
| მიდტიულანდი | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| ოდენსე | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| ვაილე | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | 0 |
| სილკებორგი | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | 0 |
| ჰორსენსი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | 0 |
| ვიბორგი | 1 | 0 | 0 | 1 | 1:3 | 0 |
| რანდერსი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:5 | 0 |

## შვეიცარია

### სუპერლიგა. I ტური

აარაუ — თუნი 1:1; გრასჰოპერი — სიონი 0:0; შაფჰაუზენი — სენტ გალენი 1:1; იანგ ბოისი — ბაზელი 1:1; ლუცერნი — ციურიხი 0:3

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ციურიხი | 1 | 1 | 0 | 0 | 3:0 | 3 |
| შაფჰაუზენი | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| თუნი | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| იანგ ბოისი | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| აარაუ | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| ბაზელი | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| სენტ გალენი | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| სიონი | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 1 |
| გრასჰოპერი | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 1 |
| ლუცერნი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:3 | 0 |

## ფინეთი

### ვეიკაუსლიგა. XII ტური

იარო 0:0 კტპ

ტამპერე 0:2 ჰიკ

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტამპერე | 11 | 8 | 1 | 2 | 17:9 | 25 |
| ჰონკა | 12 | 7 | 2 | 3 | 29:16 | 23 |
| ტურკუ | 12 | 6 | 2 | 4 | 23:17 | 20 |
| მარიეჰამნი | 12 | 5 | 4 | 3 | 17:12 | 19 |
| ჰაკა | 11 | 5 | 3 | 3 | 11:7 | 18 |
| ჰიკ | 12 | 5 | 3 | 4 | 14:11 | 18 |
| მიუპა | 11 | 4 | 3 | 4 | 11:10 | 15 |
| იარო | 11 | 3 | 3 | 5 | 13:13 | 12 |
| ვაასა | 11 | 3 | 3 | 5 | 12:14 | 12 |
| ლაჰტი | 12 | 3 | 3 | 6 | 9:17 | 12 |
| ინტერი | 9 | 3 | 2 | 4 | 8:13 | 11 |
| კტპ | 11 | 3 | 2 | 6 | 9:21 | 11 |
| კუოპიო | 11 | 1 | 3 | 7 | 7:20 | 6 |

## რუსეთი

### პრემიერლიგა. XII ტური

დინამო 2:2 რუბინი

0:1 ა. ბაიანო (17), 1:1 კომბაროვი (31), 2:1 სემშოვი (43), 2:2 სკოტი (70)

მოსკვა 1:1 ტორპედო

0:1 ლუცენკო (35), 1:1 ს. ივანოვი (76)

ზენიტი 0:0 ცსკა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სპარტაკი ნ. | 12 | 7 | 3 | 2 | 20:12 | 24 |
| ცსკა | 12 | 7 | 2 | 3 | 18:8 | 23 |
| რუბინი | 12 | 6 | 4 | 2 | 18:12 | 22 |
| სპარტაკი მ. | 12 | 5 | 6 | 1 | 24:15 | 21 |
| ლოკომოტივი | 12 | 6 | 3 | 3 | 24:16 | 21 |
| კრილია | 12 | 5 | 4 | 3 | 19:13 | 19 |
| ტომი | 12 | 5 | 3 | 4 | 12:12 | 18 |
| მოსკვა | 12 | 4 | 4 | 4 | 13:15 | 16 |
| ლუჩ-ენერგია | 12 | 4 | 3 | 5 | 14:14 | 15 |
| ზენიტი | 12 | 3 | 6 | 3 | 14:15 | 15 |
| სატურნი | 12 | 2 | 7 | 3 | 9:10 | 13 |
| როსტოვი | 12 | 3 | 4 | 5 | 14:16 | 13 |
| ამკარი | 12 | 2 | 5 | 5 | 7:18 | 11 |
| ტორპედო | 12 | 1 | 6 | 5 | 8:16 | 9 |
| დინამო | 12 | 1 | 5 | 6 | 8:14 | 8 |
| შინიკი | 12 | 1 | 3 | 8 | 6:22 | 6 |

## აშშ

### მეიჯორ სოკერ ლიგა

### გადადებული მატჩი

კოლუმბუსი 0:2 ნიუ იორკი

## შვედეთი

### ალსვენსკა. X ტური

იორგრიტე 1:3 კალმარი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჰამარბი | 10 | 7 | 2 | 1 | 19:10 | 23 |
| გიოტებორგი | 10 | 5 | 3 | 2 | 16:9 | 18 |
| აიკ | 10 | 5 | 3 | 2 | 18:12 | 18 |
| მალმიო | 10 | 5 | 3 | 2 | 14:9 | 18 |
| კალმარი | 10 | 5 | 2 | 3 | 15:9 | 17 |
| ელფსბორგი | 10 | 4 | 5 | 1 | 14:10 | 17 |
| იურგორდენი | 10 | 4 | 4 | 2 | 11:8 | 16 |
| გაის | 10 | 3 | 3 | 4 | 9:12 | 12 |
| გეფლე | 10 | 3 | 3 | 4 | 8:12 | 12 |
| ჰეკენი | 10 | 2 | 4 | 4 | 12:13 | 10 |
| ჰელსინგბორგი | 10 | 2 | 4 | 4 | 13:15 | 10 |
| ჰალმსტადი | 10 | 1 | 5 | 4 | 4:9 | 8 |
| იოსტერსი | 10 | 1 | 2 | 7 | 4:19 | 5 |
| იორგრიტე | 10 | 0 | 3 | 7 | 7:17 | 3 |

## Copa Toyota Libertadores '2006

### მეოთხედფინალი. საპასუხო მატჩები

*ინტერნასიონალი (ბრაზილია)* 2:0 ლიგა დე კიტო (ეკვადორი) (1:2)

*სან პაულუ (ბრაზილია)* 1:0(პენ.4:3) ესტუდიანტესი (არგენტინა) (0:1)

## ფეხბურთის რუკასთან

**გერმანელი** მცველი იენს ნოვოტნი ზაგრების „დინამოში" გადავიდა. 32 წლის ფეხბურთელმა ახალ კლუბთან სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა. ნოვოტნის ტრანსფერი ხორვატიის მოქმედი ჩემპიონის ისტორიაში ყველაზე ძვირფასი გამოდგა. გერმანელი სეზონში 3 მილიონ ევროს მიიღებს.

**უკრაინული** „სტალის" მთავარ მწვრთნელად ჰოლანდიელი ტონ კაანენი დაინიშნა. 40 წლის სპეციალისტმა გუნდთან ერთწლიან კონტრაქტზე მოაწერა ხელი. იგი კარიერას ახლა იწყებს, მაგრამ პერსპექტიულ მწვრთნელად ითვლება და „სტალის" უფროსობა იმედოვნებს, რომ რომელიმე ევროტურნირის საგზურს მოიპოვებენ.

**ჰოლანდიელი** ფორვარდი ტიის სლუიიტერი ბულგარულ „ლიტექსში" გადავიდა. კონტრაქტი ორწლიანია, ხოლო ტრანსფერის ფინანსური დეტალები უცნობი. „ძალიან მიხარია, რომ ასეთ ამბიციურ გუნდში გადავედი. „ლიტექსი" მომავალ სეზონში ევროპაში ითამაშებს და მინდა, რაც შეიძლება, ბევრი გოლი გავიტანო" — თქვა „ჰერაკლესის" 26 წლის ყოფილმა თავდამსხმელმა.

**გერმანულ** ბუნდესლიგაში დაბრუნებული „კოტბუსი" კიდევ ერთი ფეხბურთელით გაძლიერდა. კლუბმა პოლონური „გურნიკიდან" 18 წლის პერსპექტიული მცველი ლუკაშ კანიკა დაიმატა და მასთან სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა. იგი კოტბუსელთა რიგებში რამდენიმე კვირა ვარჯიშობდა და უფროსობას თავი მოაწონა.

**ურუგვაის** ნაკრების კაპიტანი დიეგო ლუგანო თურქულ „ფენერბაჩეში" გადავიდა. სტამბოლელთა ახალი მთავარი მწვრთნელი ზიკო მიიჩნევს, რომ ლუგანო სამხრეთ ამერიკაში თავის პოზიციაზე საუკეთესოა. „უცნაურია, რომ მასზე ლონდონის „ჩელსიმ" არ დაიწყო ნადირობა. ამან ლუგანოს შეძენა ერთიორად გაგვიადვილა" — იხუმრა ზიკომ.

**იტალიურ** „ტორინოს" „ევერტონის" ჰოლანდიელი ნახევარმცველის ენდი ვან დერ მეიდეს შეძენა სურს. „აიაქსისა" და „ინტერის" ყოფილ ნახევარმცველს პრემიერლიგაში არცთუ შთამბეჭდავი სეზონი ჰქონდა. მართალია, ვან დერ მეიდემ თქვა, მზად ვარ „გუდისონ პარკზე" დავრჩეო, მაგრამ ტურინელთა პრეზიდენტ ურბანო კაიროს მიაჩნია, რომ კარგი პირობები და ძირითად შემადგენლობაში გარანტირებული ადგილი ჰოლანდიელს მოხიბლავს.

**გერმანულმა** „კაიზრმა" არგენტინელი თავდამსხმელი ნიკოლას პავლოვიჩი დაიმატა. 28 წლის ფეხბურთელმა ბუნდესლიგელებთან ერთწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი. ბოლო წლებში იგი რუსულ „სატურნში" და აველანედას „რასინგში" თამაშობდა.

სარბიელი და კრონი

ქართული ბიბლიოთეკა

# წარმოგიდგენთ

## სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ავსტრია** | | | | | | |
| | | **ბუნდესლიგა** | | | | | | |
| | | **22 ივლისი** | | | | | | |
| 21:30 | 6 | ალტახი-ზალცბურგი | 5.00 | 3.50 | 1.55 | 2.05 | 1.18 | 1.07 |
| 21:30 | 7 | გრაცერი-მატერსბურგი | 1.70 | 3.30 | 4.30 | 1.12 | 1.21 | 1.86 |
| 21:30 | 8 | პაშინგი-აუსტრია | 2.70 | 3.00 | 2.45 | 1.42 | 1.28 | 1.34 |
| 21:30 | 9 | რიდი-ტიროლი | 2.00 | 3.10 | 3.40 | 1.21 | 1.25 | 1.62 |
| | | **23 ივლისი** | | | | | | |
| 21:30 | 10 | რაპიდი-შტურმი | 1.65 | 3.50 | 4.50 | 1.12 | 1.20 | 1.96 |
| | | **შვეიცარია** | | | | | | |
| | | **სუპერლიგა** | | | | | | |
| | | **22 ივლისი** | | | | | | |
| 19:45 | 16 | ბაზელი-შაფჰაუზენი | 1.25 | 4.70 | 8.00 | 1.00 | 1.08 | 2.96 |
| 19:45 | 17 | სტ.გალენი-გრასჰოპერი | 2.70 | 3.00 | 2.45 | 1.42 | 1.28 | 1.34 |
| 19:45 | 18 | ციურიხი-აარაუ | 1.35 | 4.40 | 6.50 | 1.03 | 1.11 | 2.62 |
| | | **23 ივლისი** | | | | | | |
| 18:00 | 19 | სიონი-ლუცერნი | 1.85 | 3.20 | 3.60 | 1.17 | 1.22 | 1.69 |
| 18:00 | 20 | თუნი-იანგ ბოიზი | 2.40 | 3.10 | 2.65 | 1.35 | 1.25 | 1.42 |
| | | **შვეიცარია** | | | | | | |
| | | **ჩელენჯლიგა** | | | | | | |
| | | **21 ივლისი** | | | | | | |
| 21:45 | 22 | ბელინცონა-კიასო | 2.35 | 3.10 | 2.50 | 1.33 | 1.21 | 1.38 |
| 21:45 | 24 | იუვენტუსი-ლოზანა | 3.10 | 3.20 | 2.05 | 1.57 | 1.23 | 1.24 |
| | | **22 ივლისი** | | | | | | |
| 21:30 | 21 | ბოლმი-კონკორდია | 2.00 | 3.20 | 3.20 | 1.23 | 1.23 | 1.60 |
| 19:30 | 23 | დელემონტი-ვილი | 2.85 | 3.20 | 2.15 | 1.50 | 1.22 | 1.28 |
| 19:30 | 25 | კრინსი-ვოლენი | 2.30 | 3.10 | 2.60 | 1.32 | 1.22 | 1.41 |
| 21:30 | 27 | ლუგანო-ლოკარნო | 1.60 | 3.40 | 4.50 | 1.08 | 1.18 | 1.93 |
| 19:30 | 28 | ვადუცი-სერვეტი | 1.70 | 3.20 | 4.30 | 1.11 | 1.21 | 1.83 |
| 20:00 | 29 | ივერდონი-ვინტერთური | 1.50 | 3.60 | 5.30 | 1.05 | 1.16 | 2.14 |
| | | **რუსეთი** | | | | | | |
| | | **21 ივლისი** | | | | | | |
| 19:00 | 33 | სპარტაკი-სატურნი | 1.60 | 3.30 | 5.30 | 1.07 | 1.22 | 2.03 |
| | | **22 ივლისი** | | | | | | |
| 18:00 | 34 | ლოკომოტივი-ტომსკი | 1.45 | 4.00 | 6.00 | 1.06 | 1.16 | 2.40 |
| | | **სლოვაკეთი** | | | | | | |
| | | **21 ივლისი** | | | | | | |
| 22:00 | 45 | სინეცი-კოშიცე | 2.50 | 2.90 | 2.66 | 1.34 | 1.27 | 1.37 |
| | | **22 ივლისი** | | | | | | |
| 20:00 | 40 | ინტერი-რუჟომბეროკი | 3.75 | 3.20 | 1.80 | 1.72 | 1.21 | 1.15 |
| 20:00 | 41 | ნიტრა-ჟილინა | 2.45 | 2.90 | 2.65 | 1.32 | 1.27 | 1.38 |
| 22:00 | 43 | ტრენჩინი-დუბნიცა | 2.05 | 3.10 | 3.20 | 1.23 | 1.24 | 1.57 |
| 20:00 | 44 | ტრნავა-ბ.ბისტრიცა | 2.00 | 3.20 | 3.20 | 1.23 | 1.23 | 1.60 |
| | | **23 ივლისი** | | | | | | |
| 12:30 | 42 | პეტრჟალკა-სლოვანი | 1.65 | 3.40 | 4.40 | 1.11 | 1.20 | 1.91 |
| | | **ნორვეგია** | | | | | | |
| | | **ტიპელიგა** | | | | | | |
| | | **22 ივლისი** | | | | | | |
| 18:00 | 60 | მოლდე-ოდ გრენლანდი | 2.30 | 3.30 | 2.80 | 1.35 | 1.26 | 1.51 |
| 21:00 | 61 | ვოლერენგა-ლინი | 2.35 | 3.20 | 2.65 | 1.35 | 1.24 | 1.44 |
| | | **23 ივლისი** | | | | | | |
| 20:00 | 62 | ჰამარი-სანდეფიორდი | 1.95 | 3.30 | 3.55 | 1.22 | 1.25 | 1.71 |
| 20:00 | 63 | სტარტი-რუსენბორგი | 2.90 | 3.10 | 2.20 | 1.49 | 1.25 | 1.28 |
| 22:00 | 64 | ფრედრიკსტადი-ვიკინგი | 2.30 | 3.00 | 2.75 | 1.30 | 1.25 | 1.43 |
| | | **24 ივლისი** | | | | | | |
| 21:00 | 65 | სტაბეკი-ტრომსიო | 1.90 | 3.20 | 3.60 | 1.19 | 1.24 | 1.69 |
| | | **ნორვეგია** | | | | | | |
| | | **I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **23 ივლისი** | | | | | | |
| 20:00 | 66 | ალესუნდი-პორს გრენლანდი | 1.25 | 5.20 | 9.50 | 1.00 | 1.10 | 3.36 |
| 20:00 | 67 | ჰიოდი-მანგლერუდი | 2.40 | 3.60 | 2.40 | 1.44 | 1.20 | 1.44 |
| 20:00 | 68 | ჰიონეფოსი-ფოლლო | 1.45 | 3.90 | 6.50 | 1.05 | 1.18 | 2.43 |
| 20:00 | 69 | ლოვ ჰამი-სტრიომსგოდსეტი | 3.30 | 3.40 | 2.00 | 1.67 | 1.24 | 1.25 |
| 20:00 | 71 | სოგნდალი-კონგსვინგერი | 1.50 | 3.70 | 5.50 | 1.06 | 1.17 | 2.21 |
| 20:00 | 72 | სპარტა ს-ბრინი | 3.30 | 3.40 | 2.00 | 1.67 | 1.24 | 1.25 |
| 20:00 | 73 | ტრომსდალენი-ჰაუგესუნდი | 2.80 | 3.40 | 2.25 | 1.53 | 1.24 | 1.35 |
| | | **შვედეთი** | | | | | | |
| | | **ალსვენსკა** | | | | | | |
| | | **22 ივლისი** | | | | | | |
| 18:00 | 79 | იორგრიტე-ჰელსინგბორგი | 2.80 | 3.20 | 2.25 | 1.49 | 1.24 | 1.32 |
| | | **23 ივლისი** | | | | | | |
| 19:00 | 80 | აიკ-ჰალმსტადი | 1.80 | 3.30 | 3.85 | 1.16 | 1.22 | 1.77 |
| 19:00 | 81 | გეფლე-მალმიო | 3.00 | 3.30 | 2.05 | 1.57 | 1.21 | 1.26 |
| | | **24 ივლისი** | | | | | | |
| 21:00 | 82 | იოსტერსი-გაის | 2.35 | 3.00 | 2.70 | 1.31 | 1.25 | 1.42 |
| | | **ფინეთი** | | | | | | |
| | | **22 ივლისი** | | | | | | |
| 17:00 | 89 | იარო-ვპს | 2.00 | 3.20 | 3.30 | 1.23 | 1.24 | 1.62 |
| | | **23 ივლისი** | | | | | | |
| 19:30 | 90 | ჰონკა-მარიეჰამნი | 1.65 | 3.50 | 4.55 | 1.12 | 1.21 | 1.97 |
| 19:30 | 91 | კტპ-კუოპიო | 1.80 | 3.30 | 3.90 | 1.16 | 1.23 | 1.78 |
| 19:30 | 92 | ტურკუ-ჰაკა | 2.55 | 3.20 | 2.45 | 1.41 | 1.24 | 1.38 |
| 20:00 | 93 | ლაჰტი-ჰ.კ | 2.90 | 3.20 | 2.20 | 1.52 | 1.25 | 1.30 |
| | | **ირლანდია** | | | | | | |
| | | **21 ივლისი** | | | | | | |
| 22:45 | 96 | ბოჰემიანი-დუბლინი სიტი | 1.70 | 3.30 | 4.20 | 1.12 | 1.21 | 1.84 |

**შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:45 | 98 | სლიგო-კორკი | 3.00 | 3.00 | 2.20 | 1.50 | 1.26 | 1.26 |
| 23:00 | 99 | შელბურნი-დუბლინი | 1.35 | 4.00 | 7.00 | 1.00 | 1.13 | 2.54 |
| | | **22 ივლისი** | | | | | | |
| 22:30 | 100 | ლონგფორდი-უოტერფორდი | 1.50 | 3.60 | 5.50 | 1.05 | 1.17 | 2.17 |
| | | **23 ივლისი** | | | | | | |
| 18:15 | 101 | ბრეი-სტ.პატრიკსი | 3.00 | 3.10 | 2.15 | 1.52 | 1.25 | 1.26 |
| | | **იაპონია** | | | | | | |
| | | **22 ივლისი** | | | | | | |
| 13:00 | 111 | ტოკიო-კაშიმა | 2.40 | 3.10 | 2.55 | 1.35 | 1.23 | 1.39 |
| 13:00 | 112 | ჰიროსიმა-იჩიჰარა | 2.65 | 3.00 | 2.30 | 1.40 | 1.23 | 1.30 |
| 14:00 | 113 | გამბა-ნაგოია | 1.50 | 3.50 | 5.20 | 1.04 | 1.16 | 2.09 |
| 14:00 | 114 | ივატა-ჩერეძო | 1.60 | 3.40 | 4.50 | 1.08 | 1.18 | 1.93 |
| 14:00 | 115 | კავასაკი-ურავა | 2.20 | 3.10 | 2.80 | 1.28 | 1.23 | 1.47 |
| 14:00 | 116 | ოიტა-ნიიგატა | 2.25 | 3.10 | 2.75 | 1.30 | 1.23 | 1.45 |
| 14:00 | 117 | ომია-კოფუ | 1.95 | 3.20 | 3.30 | 1.21 | 1.22 | 1.62 |
| | | **23 ივლისი** | | | | | | |
| 14:00 | 118 | კუიტო-შიმიცუ | 2.45 | 3.00 | 2.45 | 1.34 | 1.22 | 1.34 |
| 14:00 | 119 | იოკოჰამა-ფუკუოკა | 1.65 | 3.30 | 4.50 | 1.10 | 1.20 | 1.90 |
| | | **აშშ** | | | | | | |
| | | **22 ივლისი** | | | | | | |
| 23:45 | 122 | კოლამბუსი-ლოს ანჯელესი | 2.30 | 3.10 | 2.65 | 1.32 | 1.23 | 1.42 |
| 23:45 | 123 | ნიუ იორკი-კანზასი | 2.10 | 3.20 | 2.85 | 1.26 | 1.20 | 1.50 |
| 23:45 | 124 | ჩიკაგო-ვაშინგტონი | 2.65 | 3.10 | 2.35 | 1.42 | 1.24 | [illegible] |
| 23:45 | 125 | ჰიუსტონი-ნიუ ინგლენდი | 1.95 | 3.20 | 3.30 | 1.24 | 1.22 | 1.62 |
| 23:45 | 126 | სოლტ ლეიკი-დალასი | 2.60 | 3.10 | 2.35 | 1.41 | 1.23 | 1.33 |
| | | **ბელგია** | | | | | | |
| | | **სუპერ თასი** | | | | | | |
| | | **22 ივლისი** | | | | | | |
| 22:00 | 257 | ანდერლეხტი-ვარეგემი | 1.55 | 3.50 | 5.30 | 1.07 | 1.19 | 2.10 |
| | | **ინტერტოტოს თასი** | | | | | | |
| | | **22 ივლისი** | | | | | | |
| 19:00 | 263 | დნიპრო-მარსელი | 3.00 | 3.10 | 2.20 | 1.52 | 1.26 | 1.28 |
| 20:00 | 265 | ფარული-ოსერი | 3.10 | 3.20 | 2.10 | 1.57 | 1.25 | 1.26 |
| 19:00 | 266 | მოსკოვი-ჰერტა | 2.50 | 3.10 | 2.60 | 1.38 | 1.27 | 1.41 |
| 21:30 | 267 | გენტი-გრასჰოპერსი | 2.00 | 3.20 | 3.30 | 1.23 | 1.24 | 1.62 |
| 14:00 | 268 | ჰიბერნიანი-ოდენსე | 1.80 | 3.30 | 4.00 | 1.16 | 1.24 | 1.80 |
| 19:00 | 269 | კაისერი-ლარისა | 1.60 | 3.60 | 4.85 | 1.10 | 1.20 | 2.06 |
| 18:00 | 270 | ლილესტრიომი-ნიუკასლი | 3.40 | 3.20 | 1.95 | 1.64 | 1.23 | 1.21 |
| 22:00 | 271 | მარიბორი-ვილიარეალი | 5.00 | 3.50 | 1.60 | 2.05 | 1.21 | 1.09 |
| 21:00 | 272 | ტირასპოლი-რიდი | 3.00 | 3.20 | 2.20 | 1.54 | 1.26 | 1.30 |
| 17:30 | 273 | ტვენტე-კალმარი | 1.65 | 3.40 | 4.70 | 1.11 | 1.22 | 1.97 |


CROCO BOOKMAKERS

კროკო

ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქები სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, შპს კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება

# კროკოს ბიუროთა მისამართები

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | ფურცელაძის ქუჩა №10 | კინოთეატრ „რუსთაველის" შენობაში |
| | ალმაშენებლის გამზირი №70 | |
| | გლდანის მასივი, ხიზანიშვილის ქუჩა №4 | |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №46 | მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან" (ყოფილი „დელისი") |
| | წინამძღვრიშვილის ქუჩა №200 | ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში |
| | გურამიშვილის გამზირი №50 | მეტრო „ღრმაღელესთან" |
| | წერეთლის გამზირი, კორპუსი №11 | |
| | ჭავჭავაძის გამზირი № 41 | |
| | გამსახურდიას გამზირი № 3 | |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №91 | |
| | იოანე პეტრიწის ქუჩა №13 | დიდი დიღომი, მეორე მიკრორაიონი |
| | ხუდადოვის ქუჩა №4 | |
| | დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, 1ა კორპუსი | |
| | მესამე მასივი, ჯავახეთისა და კალოუბნის ქუჩების გადაკვეთა | |
| | მელიქიშვილის ქუჩა №15 | |
| | ისანი -კახეთის გზატკეცილი | ისნის ბაზრობის მიმდებარე ტერიტორია |
| | წერეთლის გამზირი №141 | |
| | მოსკოვის გამზირი №6 | |
| ქუთაისი | ცისფერყანწელთა ქუჩა №4 | |
| გორი | სტალინის ქუჩა №14 | |
| თელავი | ერეკლე მეორის-ის ქუჩა №6 | |
| ბათუმი | მემედ აბაშიძის ქუჩა № 21 | |
| ოზურგეთი | იოანე პეტრიწის ქუჩა №3 | |
| საგარეჯო | დავით ალმაშენებლის №30 | |
| სამტრედია | თამარ მეფის №1 | |
| წნორი | სტალინის ქუჩა №1 | |
| რუსთავი | შარტავას ქუჩა №17-29 | |
| ზესტაფონი | დავით ალმაშენებლის №39 | |
| გარდაბანი | დავით ალმაშენებლის №12 | |

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატი პორტუგალია. 14-23 ივლისი

# ბეწვის ხიდი ჩეხებისთვის ჩაწყდა

## ფინეთით დაწყებული ფინეთით არ უნდა დამთავრდეს



დავით უსტიაშვილს ნახევარფინალში გასვლის ბოლომდე სჯეროდა

**პოლონეთი 85:73 საქართველო**
*15:14 23:19 20:25 27:15*

**საქართველო:** გამყრელიძე (5), ცინცაძე (29), საყვარელიძე (7), სანიკიძე (14), დოდია (7); ჩხატარაშვილი (4), ლეჟავა (7)

**მეორე** ჯგუფურ ეტაპზე ტყუპი გამარჯვებისა და ნახევარფინალის საგზურის თითქმის განაღდების შემდეგ ქართველებმა გუშინ ბეწვის ხიდზე გაიარეს — პოლონეთთან მარცხის დასაშვები ნიშნული 12 ქულა იყო და დავით უსტიაშვილის სამწყსომ სწორედ ამდენით წააგო — 73:85.

მიუხედავად იმისა, რომ მანამდე ორიდან ორი გამარჯვება მოეპოვებინათ, პოლონეთთან 13 და მეტი ქულით დამარცხების შემთხვევაში ქართველები A დივიზიონში გადასვლისთვის ბრძოლას ეთიშებოდნენ. კი რჩებოდა მიზერული შანსი, ჩეხეთს უიმედო უკრაინასთან უნდა წაეგო, მაგრამ ეს, ალბათ, არ მოხდებოდა. ხახოლებს ჯგუფში ყველამ მოუგო და რაღა ისედაც ღონიერი ჩეხები დარჩებოდნენ ხახამშრალნი — მით უფრო მაშინ, როცა ნებისმიერი ანგარიშით გამარჯვება მათ ნახევარფინალისკენ გზას უხსნიდა.

ასე კი, ქართველებმა 12 ქულით წააგეს და ჩეხეთისთვის ყველაფერმა აზრი დაკარგა. რატომ? ასეთ შემთხვევაში სამ გუნდს — პოლონეთს, საქართველოს და ჩეხეთს — თანაბარი ქულები უგროვდებათ და ურთიერთშეხვედრებში ეს უკანასკნელი რჩება მშრალზე. ჩეხებსა და ქართველებს თანაბარი ბურთების შეფარდება (-2) უგროვდებათ, მაგრამ პირად შეხვედრაში ჩვენიანებმა იძალეს და ამის ხარჯზე მეორე ადგილს ეპატრონებიან.

მთელი ეს ჩვენი გამოთვლა, შესაძლოა, რეალურად არც განხორციელდეს, რაკი ჩეხებს ჯგუფიდან გასვლის შანსი აღარ ჰქონდათ (უკრაინასთან მოგებული ქულათა სხვაობა სათვალავში არ ეთვლებათ) და უკრაინელებთან თავი შეიძლება აღარ მოეკლათ.

აი, ასეთ ჯახირში მოიპოვეს ქართველებმა ნახევარფინალის საგზური. უსტიაშვილის სამწყსო ერთმა კინკილა ქულამ გადაარჩინა, თუმც, როგორც თავად მწვრთნელი ამბობს, სანერვიულო ბევრი არაფერი ყოფილა.

— 12 ქულით კი დავმარცხდით, მაგრამ ბოლოს ისეთი ვითარება იყო შექმნილი, სანერვიულო თითქმის არ გვქონია. მთელი საწყისი 30 წუთი თამაში თანაბრად მიმდინარეობდა, ხშირად ვლიდერობდით კიდეც, მაგრამ ბოლო მეოთხედში დაღლილობამ იჩინა თავი და 12 ქულით რომ წავაგეთ, ალბათ ამის ბრალია.

— კალათბურთი მოულოდნელობებით აღსავსე სპორტია, ხომ შეიძლებოდა, ერთით მეტი ქულა ჩაეგდოთ პოლონელებს?

— როგორ არ შეიძლებოდა, ყველაფერი ხდება, მაგრამ სიტუაცია იყო ისეთი, სანერვიულო არაფერი გვქონდა. რა თქმა უნდა, ჩვენი ბრალია, საქმე ასეთ კრიტიკულ სხვაობამდე რომ მივიყვანეთ. სირენამდე 8 წუთით ადრე 3 ქულას ვიგებდით, მაგრამ მერე 0:16 წავაგეთ 5-წუთიანი ეპიზოდი და საფრთხის წინაშე აღმოვჩნდით. ყველა ძალიან გადაიღალა, ბურთი ვერ ჩავაგდეთ და დაცვაშიც მოგვეცარა ხელი.

— ჰოდა, ჯგუფში ჩარჩენასაც წკიპზე გადაურჩით...

— ბოლოს გიორგი ცინცაძემ იყოჩაღა. პოლონელების ქულებს მხოლოდ ის პასუხობდა და როცა სირენამდე წუთით ადრე სამქულიანი ჩააგდო და ჩამორჩენა 10 ქულამდე შეამცირა, ამოვისუნთქეთ. მერე დაცვაშიც ვიყოჩაღეთ და ბოლო წუთი რომ დაიწყო, ბურთს ჩვენ ვფლობდით.

— ბოლო წამზე პოლონელებმა სამქულიანი ისროლეს...

— ეს თავიანთი ნახევრიდან გააკეთეს, რადგან დავით საყვარელიძემ და ვიქტორ სანიკიძემ ერთმანეთს შეტევაში ვერ გაუგეს და მატჩის დასრულებამდე ორიოდ წამით ადრე ბურთი დავკარგეთ.

— **პორტუგალიაში რომ მიდიოდით, A დივიზიონში ანაცვლების პრეტენზია არ გქონდათ; ახლა კი ამ მიზნამდე ერთი ნაბიჯიღა გაკლიათ...**

— ბიჭებს მადლობა, აქამდე რომ მოვიდნენ. ჩვენ ფაქტობრივად, ცენტრის გარეშე ვითამაშეთ მთელი ტურნირი, როცა დანარჩენებს მეფარეების პრობლემა არ ჰქონდათ. ნახევარფინალში ფინეთს ვხვდებით, რომელმაც მეორე ჯგუფში პირველი ადგილი გაინაღდა. ფინელებთან პირველ ეტაპზე კი წავაგეთ, მაგრამ ამას ახლა არანაირი მნიშვნელობა არ აქვს. ერთი მატჩი დარჩა და მის მოსაგებად ყველაფერს გავიღებთ. ერთის მხრივ კარგია, ფინეთს რომ შევხვდით. პირველი მატჩიდან საჭირო დასკვნებს გამოვიტანთ და ვეცდებით, ყველა უპირატესობა მაქსიმალურად გამოვიყენოთ.

**ირაკლი პერტაია**



ამერიკის ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატისთვის ემზადება

# ამერიკა ოცნების დაბრუნებას ცდილობს

**19 ივლისს** ლას ვეგასში აშშ-ის საკალათბურთო ნაკრებმა საწვრთნელი კემპი დაიწყო, რომელიც ორ კვირას გასტანს. „სტაციონარულ" ვარჯიშს ამერიკელები პრაქტიკას, ანუ რამდენიმე სპარინგ მატჩს მიაყოლებენ, რომელთაც ჩინეთსა სამხრეთ კორეაში გამართავენ, ზუსტად ერთ თვეში 19 აგვისტოს კი იაპონიაში მსოფლიოს ჩემპიონატიც იწყება.

ნბა-ს ვარსკვლავები 1992 წლიდან რეგულარულად თამაშობენ ოლიმპიადებსა თუ მსოფლიო პირველობებზე, მაგრამ ასე სერიოზული სამზადისი აქამდე არასდროს წამოუწყიათ. პირველ წლებში ისინი ჰარი-ჰარალით უგებდნენ დანარჩენი საკალათბურთო დედამიწის უგამორჩეულეს გუნდებს, მაგრამ ბოლო ხანებში დედამიწამ ფეხს აუჩქარა, ამერიკელებს წამოეწია და ბევრჯერ და ბევრგან დაამარცხა უჩაუქესი, მაგრამ დაარხეინებული ნბა-ელები. მოკლედ, საკითხზე სერიოზულად დაფიქრებისა და სრულფასოვანი შეკრებების დროც დაუდგა საკალათბურთო იმპერიას.

ნაკრების ხელმძღვანელებმა იდეალურ გუნდს მაინც ვერ მოუყარეს თავი — მიზეზთა გამო გამოაკლდათ კობი ბრაიანტი, პოლ პირსი, მაიკლ რედი, ჩონსი ბილაფსი, ლამარ ოდომი და ნასტუდენტარ-ნადრაფტალი ჯეიჯეი რედიკი, თუმც სტუდენტური კალათბურთის ერთ-ერთი უგანათლებულესი მწვრთნელისა და ნაკრების თავკაცის, მაიკ კრჟიჟევსკის ხელში მაინც სოლიდური კრებული იყრის თავს.

როგორც ჩანს, ლიდერობის ტვირთს ნაკრებში, ანუ 2004 წელს ათენის ოლიმპიადაზე გამოცდილი ბიჭები გაინაწილებენ. სწორედ რომ ბიჭები — ლებრონ ჯეიმსი 21 წლისაა, კარმელო ენტონი — 22-ის, დუეინ ვეიდი კი ორიოდ წლითაა მათზე უფროსი. სამივეს 3-3 სეზონი აქვს მოლეული ნბა-ში და სამივე 2003 წლის „ოქროს დრაფტის" შემდეგ მოვიდა ნბა-ში. ახალი თაობის ვარსკვლავურ ტრიოს ყველაზე მეტად ასევე ათენში ნათამაშები ფინიქსური დუეტის — ამარე სტუდემაიერისა და შონ მერიონის დახმარების იმედი უნდა ჰქონდეს. ეგაა, ნბა-ს ერთ-ერთ უყოჩაღეს მეფარე სტუდემაიერს ჯერ ბოლომდე ვერ მოურჩენია მუხთალი ტრავმა, რომელმაც მთლიანად გააცდენინა გასული სეზონი.

სათქმელია, რომ ვეიდ-ჯეიმს-ენტონის ტრიომ პირველივე ვარჯიშზე გამონახა საერთო ენა ერთმანეთთანაც და მწვრთნელთა შტაბთანაც. ვარჯიში სიცილ-ხარხარში დაიწყეს, მერე კი სერიოზულად გახურდნენ და კრჟიჟევსკის მოადგილეს, დღეს „პორტლენდის" თავკაც ნეიტ მაკმილანსაც აჰყვნენ დაცვითი კომბინაციების დამუშავებისას. 90-იანი წლების „სიეტლის" მოთამაშე მაკმილანი ნბა-ს ყველა დროის ერთ-ერთ საუკეთესო დამცველად ითვლებოდა. ნაკრებშიც სწორედ ამიტომ მიიწვიეს, რაკილა ოლიმპიადა-მუნდიალებზე ამერიკელები დემონსტრაციულად თაკილობდნენ დაცვაში თამაშს და ნბა-ელთა ბოლოდროინდელი მარცხების მთავარი ახსნა-მიზეზიც ეს უნდა იყოს.

მოკლედ, ამერიკელები სრული სერიოზულობით ღვრიან ოფლს და ვარჯიშით დაქანცულები მხოლოდ მსოფლიო ოქროზე ფიქრობენ.

„ყველანი ვცდილობთ, 2004 წელი დავივიწყოთ და გუნდში ჯანმრთელი ატმოსფერო შევქმნათ — ამბობს ვეიდი — შანსი გვაქვს, ყველაფერი თავიდან დავიწყოთ. ჩვენ აქ სამნი „შევითქვით", ისეთები, ვისაც გვესმის კალათბურთის ყველა წვრილმანი, სად, რა, როგორ ხდება. ათენში ჩვენი დრო არ იყო, ჩვენი დრო ახლა დგება."

**კოტე ყორშია**



## ევროპის ჩემპიონატი. პლოვდივი. ბულგარეთი. 14-24 ივლისი

# არ გაორდა, ერთი დარჩა

**მედალგანაღდებულ** საქართველოს მოკრივეთა ნაკრებს გუშინ მეორის შანსიც ჰქონდა. ევროპირველობის მეოთხედფინალში 75 კილოგრამ წონით კატეგორიაში მოჩხუბარი რევაზ ქარელიშვილი უკრაინელ ოლექსანდრ უსიუკს შეხვდა და რომ ემარჯვა...

ჩემპიონატის მიმოხილველი ოფიციალური ვებ-გვერდის ცნობით, ბრძოლა უკრაინელის უპირატესობით წარიმართა და უსიუკმა გვარიანი სხვაობით მოიგო — 38:15.

ამრიგად, ათკაცა საქართველოს ნაკრებიდან პლოვდივურ რინგს მხოლოდ ერთი შერჩა. კახა ქვანია (69კგ) ნახევარფინალშია და ფინალში გასასვლელად მასპინძელთა ჯილას, სპას გენოვს ხვდება. ბრძოლა დღეს საღამოს გაიმართება. ამ წონაში ფინალის მეორე საგზურისთვის ერთმანეთს მუშტს რუსი ანდრეი ბალანოვი და უკრაინელი ოლექსანდრ სტრეცკი მოუღერებენ, ფინალური შეხვედრა კი 23 ივლისს შედგება.

**ოთარ მაღლაკელიძე**

## საქართველოს თასი. ნახევარფინალი
### ლოკომოტივი 33:3 აია
# პარლამენტმა ლოკომოტივი ორი საათით დააჩქარა

საქართველოს თასი. 20 ივლისი
ლოკომოტივი 33:3 აია

გუშინ გაცხადდა, რომ 25 ივლისს, სამშაბათს, ისანში აქამდე საფეხბურთო, ახლა კი სარაგბო აკადემიად შეგულებულ „შევარდენის" სტადიონზე, საქართველოს თასის ფინალში ერთმანეთს თბილისური კლუბები — „ლოკომოტივი" და „ლელო" დაეჯახებიან.

„ლელომ" ფინალისტობა გუშინწინ, რუსთავის „ხარების" წაქცევით მოიპოვა, გუშინ კი „ლოკომოტივმა" მოფერიანებულ ქუთაისის „აიას" მაგარი ბრძოლა მოუგო. ბრძოლას რომ ვამბობთ, აქ კომბინაციები, გაშლა-გამოშლა და ჩუბინი იერიშები არაფერ შუაშია. ბრძოლა რასაც ჰქვია, მეტოქეთა მუხლმაგარ და კუნთმაგარ ბიჭებში იყო, ერთმანეთს შერკინებაში, კონტაქტში და ბოჭვაში რომ არ ინდობდნენ.

პირველ ტაიმში გაწევ-გამოწევაც იყო და მუშტი-კრივიც. ფრანგულ ელიტკლუბ „კლერმონში" წასასვლელად გამზადებულმა ლოკომოტიველმა გიორგი ჟღენტმა იმდენი ქნა, რომ მსაჯს თავი 10 წუთით „გადააგდებინა", მაგრამ მეტოქის რიცხვნაკლულობით ქუთაისელებმა მაინც ვერ იხეირეს. პირიქით კი მოხდა, პირველი ტაიმის მიწურულს, როდესაც „ლოკომოტივი" უკვე 12:0 იგებდა, თბილისელებმა ერთხელაც შეათრიეს ქუთაისელთა შერკინება მათსავე ლელოში და მატჩის ბედიც იქვე გადაწყვიტეს.

რაც მართალია, ქუთაისელებს ჟინს და სიმტკიცეს ვერავინ დაუწუნებს, მაგრამ იმერელები სცოდავდნენ აუტებში, ბურთის ხელდახელ გათამაშებაშიც და შეტევის დასრულებაშიც. ასე რომ, „ლოკომოტივმა" გუშინ ლოგიკურად გაიმარჯვა. მხოლოდ ერთი უცნაურობა და ალოგიკურობა მოხდა. მატჩი „მიხეილ მესხის" სახელობის სტადიონის სათადარიგო, ისე რომ მოედანზე საღამოს 17:30 წუთზე იყო დანიშნული, მაგრამ ქუთაისელებმა შეატყობინეს, რომ საქართველოს თასის ნახევარფინალი ორი საათით ადრე დაიწყებოდა.

მიზეზი? საღამოს თურმე ქართველ პარლამენტარებს ბურთის გაგორება მოუნდომებიათ. ისე, რა უფრო მნიშვნელოვანია, პარლამენტარების ღლაბუცი, თუ დღესდღეობით საქართველოში ყველაზე ლიდერსეულ სპორტის სახეობაში ვაჟკაცების ალალი თამაში?

**ბაჩო სვანიძე**



ბაჩო კიკილაშვილის ფოტოები

ბრძოლა ისეთი იყო, მუშტი-კრივიც არ დაჰკლებია



# იოკოძუნა თითქმის ჩემპიონია
## საფირმო ცუპარებმა კოკაის უმტყუნა


AFP ნატოთადან

ასასიორუ იმპერატორის თასისკენ დაუმარცხებლად მიიწევს

**სეზონის** მეოთხე დიდი ბაშოს ფინიშამდე სამი ტური რჩება. იმპერატორის თასის ბედი კი, ფაქტობრივად, უკვე გადაწყვეტილია. ოცდამეერთე საუკუნის პირველი და ერთადერთი იოკოძუნა ასასიორუ სუმოს მთავარ ჯილდოს მეჩვიდმეტედ ასწევს. ჩემპიონობას სავარაუდოდ, დღეს ან ხვალ გაინაღდებს. მონღოლი „ცისფერი დრაკონი" ბოლო ტურში გაიოკოძუნების კანდიდატ თანამემამულე ხაკუხოს დაეჭიდება, მაგრამ სპეციალისტთა პროგნოზით, ასასიორუს ამ ბრძოლამდე ექნება მოგვარებული სათასო საქმე.

წაუგებელი სერია პატივცემულმა მონღოლმა გუშინ, პირველი ევროპელი ოძეკის, კოტოოსიუს წაქცევით თორმეტ შეხვედრამდე გაზარდა. დღეს კი კიდევ ერთი ოძეკის, 33 წლის კაიოს პირისპირ დადგება. სწორედ, ამ შეხლას მიიჩნევენ მიმომხილველები ივლისის ბაშოს საკვანძო ბრძოლად, რადგან იოკოძუნას ხვალინდელ მეტოქე ტიოტაიკაიზე ხელი აქედანვე ჩაუქნევიათ.

იმპერატორის თასის ხუთგზის ამწევი კაიო, ბოლო დროს, ჩვეულად ველარ ყოჩაღობს და მიმდინარე ტურნირშიც მხოლოდ რვა ქულა დაუგროვებია, მაგრამ გადამწყვეტი ბრძოლისას კლანჭების გამოჩენის ძალა კი ნამდვილად აქვს და დღეს მისგან სწორედ ამას ელიან. გუშინ ბებერი ოძეკის რისხვა, ექსსეკივაკე კიოკუტენხოსთან ერთად, მსაჯსაც დაატყდა. კაიომ ორივე ერთად გადაყარა ბორცვაკიდან. ლიდერის ზურგსუკან სამი ათქულიანი დევკაცი დგას, მაგრამ მის ყველაზე რეალურ კონკურენტად ოძეკი ხაკუკოს ასახელებენ. სუმოს უმაღლეს წოდებაზე მეოცნებე ახალგაზრდამ მეათე ქულა ოძეკი ტოჩიაძუმას ძლევით მიითვალა, დღეს კი მორიგ ოძეკისთან — ტიოტაკაისთან მოუწევს შეხლა.

რიგითმა მაეგაშირებმა — ტამაკასუგამ და ტამანოსიმამაც გუშინ იმარჯვეს მეათედ. აჯობებდა მარტო პირველის მოგებაზე გვქონოდა დასაწერი. მიზეზი მარტივია, მეორე კოკაის ხვდებოდა. ბრძოლის დასაწყისში მეტოქეებმა ცუპარებით (კორპუსში ხელების კვრით) შეუტიეს ერთმანეთს და უფრო მძლავრი ტამანოსიმას ცუპარები გამოდგა.

დღეს ლევან ცაგურია სეკივაკეს ტიტულის ვადამდე დამცველ კოტომიცუკის ეჭიდავება. ტამაკასუგა ხომასიოს ხვდება, ტამანოსიმა ესტონელ ბალტს.

**ოთარ მაღლაკელიძე**




რენატო, იგივე გეორი სანქტპეტერბურგულ ქვიშაზე

# ჩვენი ბრაზილია პეტრეს ქალაქშია

**სანკტ-პეტერბურგში** დაწყებულ მსოფლიოს სერიის მორიგ ეტაპზე ქართულპასპორტიანმა ბრაზილიელებმა, რენატომ და ჟორჟიმ, იგივე გეორ და გიამ, ფრენბურთობა წაგება-მოგებით დაიწყეს. ჩვენი ბრაზილიელები ძირითად ბადეში მოხვდნენ და საკვალიფიკაციო ეტაპიდან გათავისუფლდნენ. ჩვენები ტურნირზე მეოცე ნომრად იყვნენ განთესილები.

ძირითად ბადეში გეორ-გიამ პირველი მატჩი მეცამეტე ნომრებთან, ნორვეგიელებთან, ჰორენთან და პატერსონთან, ერთ საათში 0:2 წააგეს. ამის შემდეგ, გაქართველებულმა ბრაზილიელებმა შვედებს, დალის და გუნარსონის დუეტს, ერთ საათში 2:0 მოუმთავრეს საქმე.

პლაჟის ფრენბურთის წესებით, ძირითად ბადეში მოხვედრილებს ერთი წაგების უფლება აქვთ და ჩვენებიც სანკტ-პეტერბურგის ტურნირს დღეს გააგრძელებენ.

სადღეისოდ გეორ-გიას წყვილი მსოფლიო რეიტინგში 878 ქულით 21-ე ადგილზეა, რაც აქედანვე პეკინის ოლიმპიადის ლიცენზიის გარანტიას იძლევა. ამ ხნის მანძილზე კი „ქართველმა" ბრაზილიელებმა 19 ათას 500 დოლარი მოინაგრეს.

**ბაჩო სვანიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა



# წინ ჰოლი, უკან ზვიგენი
## ოლიმპიური ჩემპიონის საოცარი რეკორდი

**ამერიკელ** ოთხგზის ოლიმპიურ ჩემპიონს გარი ჰოლს არაერთი მსოფლიოს რეკორდიც დაუმყარებია ცურვაში, მაგრამ 50-მეტრიანი მონაკვეთი ისე სწრაფად არასოდეს დაუფარავს, როგორც ეს ფლორიდის სანაპიროებთან გაშლილ ზღვაში შესძლო. აბა, ბიჭი იყო და, ნუ გაცურავდა — უკან ხომ ხახადაღებული ზვიგენი დაედევნა და იქვე მეორეც გამოჩნდა.

გარი ჰოლი, რომელიც ორიოდე კვირის წინათ 35-ისა გახდა, იმ დღეს თავის 28 წლის დასთან, ბებესთან ერთად წყალქვეშ ნადირობით იქცევდა თავს. მათ ნავიდან ისკუპეს და თითქმის ორმეტრიანი ზვიგენიც გამოჩნდა. გულგახეთქილმა და-ძმამ სასწრაფოდ ნავისკენ მოუსვეს, მაგრამ უმალ საიდანღაც მეორე შავი ზვიგენიც გამოტყვრა.

„საქმე ასე იყო — იხსენებს გარი ჰოლი — პირველი ზვიგენი ჯერ კიდევ შორს იყო, როცა მეორე, იმაზე დიდი გამოჩნდა და გვერდიდან დაგვედევნა. ბებე მასთან ახლოს აღმოჩნდა და ზვიგენმა მკლავზე პირი სტაცა. ოღონდ ეს მერეღა გავიგე, როცა ის ზვიგენი თავს მე დამესხა. რაკი თავდასაცავად ხელთ არაფერი მქონდა, ცხვირპირში მუშტები დავუშინე. ამაზე ზვიგენმა ჩემს ქვემოთ ჩაყვინთა და ზემოდან წიხლიც მივაყოლე, მერე კი უმალ გვერდზე გავცურე. ეტყობა, ზვიგენს კარგად მოხვდა, თავს დამეხსნა და ახლა დისკენ გაქანდა. მიუხედავად იმისა, რომ ხელზე ჭრილობიდან სისხლი სდიოდა, წყალქვეშა თოფის მომართვა შეძლო და როგორც კი ზვიგენმა ხახა დააღო, ბებემ სასხლეტს თითი გამოჰკრა და ისარი შიგ პირში დაარჭო. ამის მერე ზვიგენმა უმალ სადღაც გაცურა და მეორეც გაქრა".

გარი ჰოლი უვნებლად გადარჩა, მის დას კი ხელზე 19 ნაკერი დაადეს.

როცა გარი ჰოლმა ჟურნალისტებს ეს გმირული თავგადასავალი უამბო, იქვე დასძინა, მაგარი იყო, ადრენალიც ამას ჰქვია, ასე სწრაფად არასდროს მიცურავიაო.

აქვე გავიხსენოთ ასევე ამერიკელი მოცურავის, ლეგენდარული ჯონი ვაისმიულერის თავგადასავალიც, როცა „ტარზანში" მთავარი როლის გადაღებისას წყალში დაბმულმა ნიანგმა აიწყვიტა და ხუთგზის ოლიმპიურ ჩემპიონს დაედევნა. საბედნიეროდ, ვაისმიულერი გადარჩა და ამ ამბავს რომ იხსენებდა, ისიც ასე ამბობდა, ბევრი მსოფლიოს რეკორდი დამიმყარებია, მაგრამ ასე სწრაფი არასოდეს ვყოფილვარო.

**ავთანდილ ჭყვიშელი**

ხელბურთი

# ხელბურთელებმა ბავშვებს ხელი გაუმართეს

**საქართველოს** ხელბურთელებმა დიდ წარმატებას მიაღწიეს, როცა პოლონეთის ქალაქ გდანსკში სტუდენტთა მსოფლიოს ჩემპიონატზე მართლაც ბრწყინვალედ იასპარეზეს და 13 ქვეყნის გუნდებს შორის მეორე ადგილი დაიკავეს. ამასთან, ტურნირის სიმბოლურ ნაკრებში მეკარე შოთა თევზაძე და მეგოლე ვლადიმერ რუსია დაასახელეს, სერგო დათუკაშვილი კი 45 გოლით ბომბარდირთა შორის მესამე აღმოჩნდა.

შინ დაბრუნებული მერაბ მეტრეველის შეგირდები საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტში მიიღეს, სადაც მათი წარმატებული თამაში ფულადი პრემიებითაც დააფასეს.

და აი, ჩვენი ხელბურთელები გუშინ კვლავ ყურადღების ცენტრში აღმოჩნდნენ, როცა სტუდენტთა მსოფლიოს ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი ნაკრების წევრები რევაზ ჭანტურია, შოთა თევზაძე, სერგო დათუკაშვილი, დავით ნიკოლაიშვილი და გიორგი სამყურაშვილი კასპის რაიონის სოფელ მეტეხში ბავშვთა სახლს ესტუმრნენ. როგორც სტუმრებს შეეფერება, ისინი ბავშვებთან ხელცარიელნი არ მისულან — გდანსკში მოპოვებული წარმატებისთვის მიღებული პრემიებით მათ საჩუქრები და საკვები შეიძინეს და მთელი გუნდის სახელით ხელდამშვენებულნი მივიდნენ, რითაც ძალზე გაახარეს ბავშვები.

**ავთანდილ ჭყვიშელი**

ჩოგბურთი

# საფინი გააფინეს
## მარატს ვინმე ვაიტჰაუსმაც გადაუარა

**კაცები**
შტუტგარტი. გერმანია
თიხნარი. საპრიზო 586 250 €

**მეორე წრე**

**მარიანო ზაბალეტა** (არგენტინა) — გასტონ გაუდიო (1, არგენტინა) 6:4 6:0; **იურგენ მელცერი** (ავსტრია) — მაქს მირნი (12, ბელორუსია) 6:3 6:1; **ხუან მონაკო** (არგენტინა) — კრისტოფ ვლიგენი (ბელგია) (უარი); **შტეფან კუბეკი** (ავსტრია) — თეიმურაზ გაბაშვილი (რუსეთი) 7:6 6:2; **ოლივიე მარახი** (ავსტრია) — რიშარ გასკე (16, საფრანგეთი) 6:4 6:2; **სიმონ გრეილი** (გერმანია) — მიხაილ იუჟნი (11, რუსეთი) 6:7 7:5 6:4; **ხოსე აკასუსო** (5, არგენტინა) — ანდრეა სეპი (იტალია) 6:4 7:6; **ხუან-მარინ დელ პორტო** (არგენტინა) — ხუან-იგნასიო ჩელა (8, არგენტინა) 6:2 4:6 6:1; **ფლორიან მაიერი** (გერმანია) — ჟილ სიმონი (საფრანგეთი) 7:6 6:2; **სტანისლას ვავრინკა** (შვეიცარია) — ბიორნ ფო (15, გერმანია) 6:7 6:2 6:3; **დავიდ ფერერი** (3, ესპანეთი) — ირჟი ნოვაკი (ჩეხეთი) 6:3 6:1

**მესამე წრე**

**ნიკოლას ლაპენტი** (ეკვადორი) — დიეგო ჰარტფილდი (არგენტინა) 7:6 6:2; **ტომაშ ბერდიხი** (2, ჩეხეთი) — დიეგო ხუნქუეირა (არგენტინა) 6:1 6:4

**კაცები**
ინდიანაპოლისი. აშშ
ჰარდი. საპრიზო 575 000 $

**მეორე წრე**

**ჯეიმს ბლეიკი** (1, აშშ) — დანაი უდომჩოკე (ტაილანდი) 7:6 6:4; **ვესლი ვაითჰაუსი** (სამხრეთ აფრიკა) — მარატ საფინი (16, რუსეთი) 6:1 6:4; **ნიკოლა მაჰუ** (10, საფრანგეთი) — ტიაგო ალვეში (ბრაზილია) 6:4 3:6 6:3; **ტომი ჰაასი** (5, გერმანია) — გეორგ ბასტლი (შვეიცარია) 6:3 6:3; **ქსავიე მალისი** (9, ბელგია) — ჰიუნგ-ტაიკ ლი (სამხ. კორეა) 7:6 6:1; **დმიტრი ტურსუნოვი** (7, რუსეთი) — ბენჯამინ ბეკერი (გერმანია) 6:3 5:7 2:1 (უარი); **პარადორნ შრიჩაპანი** (8, ტაილანდი) — უეინ არტურსი (ავსტრალია) 7:6 6:7 6:4; **იგორ კუნიცინი** (15, რუსეთი) — ლარს ბურგსმიულერი (გერმანია) 7:5 6:2; **კენეტ კარლსენი** (დანია) — დომინიკ ჰრბატი (6, სლოვაკეთი) 6:3 6:2; **ჟილ მიულერი** (12, ლუქსემბურგი) — პოლ კაპდევილია (ჩილე) 6:2 6:3

**კაცები**
ამერსფოორტი. ჰოლანდია.
თიხნარი
საპრიზო 323 250 €

**მეორე წრე**

**გილერმო კორია** (1, არგენტინა) — სერხიო როიტმანი (არგენტინა) 7:5 4:6 6:2; **კარლოს მოია** (5, ესპანეთი) — ფაბიო ფონინი (იტალია) 7:5 6:3; **ნიკოლას მასუ** (3, ჩილე) — ხუან-ანტონიო მარინი (კოსტა-რიკა) 6:4 7:6; **ალბერტო მარტინი** (6, ესპანეთი) — ედუარდო მასა (არგენტინა) 6:2 6:4; **რუბენ რამირეს-იდალგო** (ესპანეთი) — პოლ-ანრი მატიო (2, საფრანგეთი) 6:4 6:2

**ქალები**
ცინცინატი. აშშ. ჰარდი
საპრიზო 175 000 $

**პირველი წრე**

**ემი ფრეიზერი** (აშშ) — გიზელა დულკო (8, არგენტინა) 6:3 6:1; **კატარინა სრებოტნიკი** (4, სლოვენია) — მენგ იუანი (ჩინეთი) 7:6 6:1; **სანია მირზა** (9, ინდოეთი) — ემა ლეინი (ფინეთი) 6:1 0:6 6:1; **პატი შნიდერი** (1, შვეიცარია) — აბიგაილ სპირსი (აშშ) 6:1 6:0

**ქალები**
პალერმო. იტალია. თიხნარი
საპრიზო 145 000 $

**მეორე წრე**

**რავან რეზაი** (საფრანგეთი) — მიქაელა კრიაჩეკი (ჰოლანდია) 6:4 6:3; **ჯულია შრუფი** (გერმანია) — ფლავია პენეტა (1, იტალია) 6:1 7:5; **ტატიანა გარბინი** (იტალია) — ანა სმაშნოვა (5, ისრაელი) 7:5 6:3; **რობერტა ვინჩი** (იტალია) — კლარა კუკალოვა (ჩეხეთი) 6:2 7:6



მარატ საფინს ვესლი ვაიტჰაუსიც კი უგებს



**ბევრჯერ** გსმენიათ ვესლი ვაიტჰაუსის შესახებ? ალბათ არა და ვერც გაიგონებდით, რადგანაც ეს ბიჭი სამხრეთ აფრიკის უდაბნოებიდან ახალი წამოსულია და აქამდე ATP-ის დონეზე მას მხოლოდ ერთხელ უთამაშია. თუმცა ინდიანაპოლისში უკვე მესამე წრეში გავიდა და გზად ჯერ ნიუპორტის ფინალისტი ჯასტინ გიმელსტობი, გუშინ კი მარატ საფინი დაამარცხა.

გიგანტ რუსს საშველი არაფრით არ დაადგა. მას არც ამერიკულ ჰარდზე გადანაცვლებამ უშველა და უცნობ აფრიკელთანაც უშანსოდ წააგო. მარატს საზიზღარი სტატისტიკა აქვს — 12-12 მოგება-წაგება და წლეულს მხოლოდ ორჯერ მოახერხა ორი წრის გავლა.

მეორე სკალპაცლილი განთესილი კი დომინიკ ჰრბატი იყო, რომელსაც კენეტ კარლსენმა ჩაალეგებინა ბარგი.

სამაგიეროდ კარგად თამაშობენ მასპინძლები — ამჯერად თავი ჯეიმს ბლეიკმა გამოიჩინა და ცოტა წვალებით, მაგრამ ტაილანდელ უდომჩოკეს მაინც მოუგო. სხვათა შორის, ამ იანკის ინდიანაპოლისში მანამდე ერთი მატჩიც არ მოეგო და ამიტომ ნავსის გატეხვით ფრიად კმაყოფილი ჩანდა:

„როგორც იქნა, აქაც ვიმარჯვე. იმედია, ასე გავაგრძელებ" — ლაკონური იყო ბლეიკი.

კარგად დაიწყო ტომი ჰაასმაც, რომელმაც გერმანიაში დარჩენას ამერიკაში თამაში ამჯობინა და ჯერჯერობით წარმატებითაც იქნევს ჩოგანს.

ფავორიტთა მსხვერპლშეწირვა შტუტგარტშიც გაგრძელდა, სადაც ტურნირს პირველი ნომერი გასტონ გაუდიო გამოემშვიდობა. მას თითქმის მივიწყებულმა თანამემამულე მარიანო ზაბალეტამ მოუგო. გაუდიომ კი წლევანდელი სათიხნარო სეზონი რაიმე განსაკუთრებული მიღწევებისა თუ გამარჯვებების გარეშე გალია.

კიდევ ერთი განთესილი არგენტინელი დაემშვიდობა გერმანიას — ხუან-იგნასიო ჩელაც თავისიანმა შეიწირა, თუმც დელ პორტო ზაბალეტასგან განსხვავებით, თითქმის უცნობი ჩოგბურთელია.

რიშარ გასკეს კი ქებამ აწყინა. ათამაშდა, ათამაშდაო, ხარობდნენ ფრანგები, მაგრამ რიშარმა შტუტგარტში აჩვენა, რომ სტაბილურობა კვლავ მის მთავარ პრობლემად რჩება. გასკე გშტაადური ტრიუმფის მერე ალბათ ზედმეტად გაუშინაურდა შამპანურს და გერმანიაში სათამაშოდ ველარ განეწყო.

განთესილთა გავარდნის გარეშე არც ამერსფოორტში ჩაუვლია სათამაშო დღეს. იქ ეს „საპატიო" მისია თავის თავზე პოლ-ანრი მატიომ აიღო და ესპანელ იდალგოს თავაზიანად დაუთმო მეოთხედფინალში გზა სწორედ რომ დაუთმო, რადგანაც პირინეელს არაფერი ღირებული არ გაუკეთებია კორტზე — ფრანგი იმდენს სცოდავდა, რომ ამის საჭიროება უბრალოდ არ იყო.

ქალთა ტურნირებზე კი შედარებითი სიმშვიდე იყო. მხოლოდ პატი შნიდერის თამაში უნდა აღინიშნოს, რომელმაც კინკილა გეიმი დათმო და სერენა უილიამსს დაანახვა, მეც კარგ ფორმაში ვარ და პირველობას ეგრე ადვილად არ დაგითმობო.

**კახა ლომაშვილი**



იყო დრო, გარტ სნოუ „აილენდერსის“ კარს იცავდა

# ჩარლის ანგელოზები და ოფოფები

**მორიგი** ოინი შესთავაზა ნჰლ-ს „ნიუ იორკ აილენდერსის“ მფლობელმა ჩარლი ვონგმა — მან თანამდებობიდან გენერალური მენეჯერი ნილ სმიტი გაათავისუფლა და მის ადგილზე გუნდის მეორე მეკარე გარტ სნოუ დანიშნა. ვონგი ცნობილია თავისი მოულოდნელი და ხშირად, არაადეკვატური მოქმედებებით, მაგრამ ასეთს მისგანაც არ ელოდნენ.

სმიტის გაგდების მიზეზი ზუსტად არავინ იცის. ვერავინ იტყვის, გუნდის მფლობელი მისი მუშაობით უკმაყოფილო იყოო, რადგანაც გენერალური მენეჯერის პოსტი მან მხოლოდ ერთი თვის წინ დაიკავა. ისე სმიტის ჰოკეიში მობრუნებაც დიდი მოულოდნელობა იყო — ეს კაცი სპორტისგან 6 წელი განზე იდგა და ვონგს დიდი ხვეწნაც დასჭირდა მის დასათანხმებლად.

თუმც ამის მიუხედავად, სმიტი მაინც გაათავისუფლეს, ხოლო რამდენად წაადგება გუნდს გარტ სნოუს შეფობა, ძნელი სათქმელია. მით უმეტეს, რომ „კუნძულელების“ სისტემაში სმიტის წასვლის შემდეგ დიდი არეულობაა — გუნდის დატოვება ასევე უნდა მთავარ მრჩევლად დანიშნულ პეტ ლაფონტენსაც.

ახალ პოსტზე დანიშვნის შემდეგ სნოუმ პირველი ნაბიჯი უკვე გადადგა და თავისი შემცვლელიც იპოვა. როგორც იცით, თვითონ სნოუ „კუნძულელთა“ მეორე მეკარე იყო. პირველი კი რიკ დი პიეტროა. ჰოდა, თავის „ძველ“ ადგილზე სნოუმ 27 წლის უეიდ დუბილევიცი მოიყვანა და დი პიეტროს შემცვლელიც ის იქნება.

„ანაჰაიმის“ ახალი მფლობელები კი ყველაფრის განახლებას ცდილობენ. ჯერ გუნდის სახელი შეცვალეს — „მძლავრი იხვებიდან“ უბრალოდ „იხვებად“ გადააქციეს. ახლა კი სათამაშო მოედანსაც შეეცვალა სახელი — „ეროუჰედ პონდს“ ამიერიდან „ჰონდა არენა“ ერქმევა.

სტენლის თასის მფლობელი „კაროლინა“ კი შემადგენლობის გადახალისებას ცდილობს. ამჯერად გუნდმა ცენტრი იოზეფ ვასიჩეკი „ნეშვილში“ გაუშვა და საპასუხოდ ფლანგი სკოტ უოკერი მიიღო. „ქარიშხლები“ ასე „ნიუ იორკ რეინჯერსში“ წასული მეტ კალენის შეცვლას ცდილობენ.

ნეშვილმა კიდევ ერთ სატრანსფერო ოპერაციაში მიიღო მონაწილეობა — გუნდმა „რეინჯერსში“ გაუშვა ფორვარდი ადამ ჰოლი და საპასუხოდ დომინიკ მური მიიღო, რომელიც კიდევ ერთ თავდამსხმელ ლიბორ პივკოსთან ერთად მაშინვე „პიტსბურგს“ გადაულოცა. თვითონ „ნეშვილმა“ კი „პინგვინებისგან“ მომდევნო დრაფტის მესამე რაუნდის არჩევანი მიიღო.

სიახლეებია „ფილადელფიაშიც“. „მფრინავებმა“ გუშინ მარცხენა ფლანგელი ჯეფ სანდერსონი დაიმატეს, თუმც გუნდის გულშემატკივრებს უფრო ის აიმედებათ, რომ მომავალ სეზონში შესაძლოა ყინულზე კაპიტანი კეიტ პრიმო დაბრუნდეს.

გულხელდაკრეფილნი არც „კოლუმბუსის“ ბოსები ისხდნენ. „ტამპაში“ ძირითადი კიპერ მარკ დენის გაშვების შემდეგ გუნდმა მეკარის პრობლემა მარტივად გადაჭრა — „ბლუ ჯექეთსმა“ ორწლიანი კონტრაქტი გაუფორმა შარშან დენის შემცვლელ პასკალ ლეკლერს და დამდეგ სეზონის მისი იმედით ხვდება.

გამალებით ეძებს ახალ ნავსაყუდელს ვეტერანი კიპერი ედ ბელფური. აქამდე ითვლებოდა, რომ ის „დეტროიტში“ წავიდოდა, თუმც ბოლო ინფორმაციით „არწივი ედი“ (ბელფურის ზედმეტსახელი) „ფლორიდაში“ დაიბუდებს. როგორც ჩანს, ბელფური „წითელი ფრთების“ ფინანსურ საკითხებში ვერ შეუთანხმდა და ახლა „პანტერად“ იქცევა. თუ ეს მოხდა, მაშინ „არწივი“ კარიერულ წრეს შეკრავს — მან ნჰლ-ში თამაში ხომ „ჩიკაგოში“ მაიკ კინანის მწვრთნელობისას დაიწყო, კინანი კი ახლა „ფლორიდის“ გენმენეჯერია. მოკლედ, ბელფური ძველ დამრიგებლებთან ბრუნდება.

**ქახა ლომჰყვილი**



## 93-ე ტურ დე ფრანსი 2006, 1-23 ივლისი

# ლენდისის ბენეფისი

## მთებ და ქარგამოვლილ ფლოიდს სიო რას დააკლებს

**თუ აქამდე** რაიმე ცუდი ვთქვით ფლოიდ ლენდისის შესახებ, თქვენის ნებართვით, ბოდიშს ვიხდით. არა, კვლავაც იმ აზრზე ვართ, რომ ბასო, ულრიხი, ვალვერდე და ვინოკუროვი რომ ყოფილიყვნენ, ან თუნდაც ერთ-ერთი მათგანი, წლევანდელი „ტურის“ მოგების შანსი სხვას არავის ექნებოდა, მაგრამ გუშინ ლენდისმა დაამტკიცა, რომ ისიც დიდი მრბოლია და თუ კვირას, ელისეს მინდვრებზე სწორედ ის შედგება პოდიუმზე, უსამართლობა ნამდვილად არ იქნება.

შვეიცარიული „ფონაკის“ ამერიკელი ლიდერი თავიდანვე ითვლებოდა თავმოკვეთილი „ტურის“ ერთ-ერთ ფავორიტად, მაგრამ გუშინწინ ალპური ეტაპის ბოლო აღმართში ლენდისი, ფაქტობრივად, დადგა და, მართალია, თანაგუნდელი აქსელ მერქსის დახმარებით მაინც უწია ფინიშს, საერთო ჩათვლაში თითქმის უიმედოდ, მთელი რვა წუთით ჩამორჩა სენსაციურ ლიდერს, ესპანელ ოსკარ პერეირო სიოს. ამ სიოს გარდა ლენდისს კიდევ ცხრა მრბოლმა გაუსწრო და მასზე ყველამ ხელი ჩაიქნია — მართალია, ინდივიდუალურ რბოლაში ძლიერია, მაგრამ ბოლო სამთო ეტაპზე იმდენი რა უნდა ამოქაჩოს, საბოლოო წარმატებაზე რომ იფიქროსო.

ასე იყო, მაგრამ ფლოიდი ფოლადის კაცი ყოფილა და მან გუშინ სასწაულებრივად შემოატრიალა რბოლის ბედი. გუშინ „ტურზე“ უკანასკნელი სამთო ეტაპი იყო, მესამე კატეგორიის მთას თუ არ ჩავთვლით, ოთხი სერიოზული უღელტეხილით და ამათგან ბოლო ლეგენდარული ჟეპლანი იყო, რომლის შემდეგაც ათკილომეტრიან დაღმართს ფინიში მოჰყვებოდა.

ლენდისი პირველი, 1650 მეტრიანი მთის აღმართში გაექცა ძირითად ჯგუფს და თავიდან ამ გაქცევას საერთო ჩათვლის მოწინავეებმა ყურადღება არ მიაქციეს და მერე ამის გამო ძალიანაც ინანეს. ფლოიდმა ნელ-ნელა გაზარდა უპირატესობა, სამი მწვერვალი ეულად დალაშქრა და, მართალია, T-მობაილმა უფრო ადრე გაქცეულთა ჯგუფიდან პიტერ სანკევიჩი მიამაგრა, ამერიკელი ამანაც ვერ შეაკრთო.

სინკევიჩმა თავისი საქმე კი გააკეთა, მაგრამ ლენდისი დაქოქილივით გადადიოდა უღელტეხილებს და ულმობლად ყლაპავდა წინ წასულ ავანტიურისტებს. უკან კი პელეტონი, რომლის თავშიც T-მობაილისა და CSC-ს ხალხი ენაცვლებოდნენ ერთმანეთს, რაღაც უნიათოდ ირჯებოდა და ბოლო აღმართის წინ ლენდისს რვაწუთიანი უპირატესობა ჰქონდა. აქ კი პელეტონი ცოტა ამოძრავდა და ისევე, როგორც წინა ეტაპზე, კვლავ შეუტია კარლოს სასტრემ, რომელსაც შემდეგ დამიანო კუნეგო და კრისტოფ მორო მიჰყვნენ.

ლენდისი კი ერთი ამოსუნთქვით ნთქავდა კილომეტრებსა და უამრავ



ფლოიდ ლენდისის გამარჯვებას ტონა წყალი დასჭირდა

AFP

წყალს - ნაწილს სვამდა და უფრო ბევრს თავზე ისხავდა. „ფონაკის“ ტექნიკური დახმარების მანქანიდან ველარ აუდიოდნენ თავიანთი ლიდერის წყლით მომარაგებას, მაგრამ ამაზე აღარავინ დარდობდა — მთავარი იყო, უკან მავალნი ჩამორჩენის მნიშვნელოვნად შემცირებას ვერ ახერხებდნენ. ჟეპლანის მწვერვალზე სასტრემ 5 წუთამდე კი შეამცირა სხვაობა, მაგრამ მერე დაღმართი იყო და იქ, უფრო მძიმე ამერიკელმა ესპანელზე მეტი სიჩქარე განავითარა. უფრო უკან კი პერეირო სიო განწირული სულისკვეთებით ქაჩავდა ლიდერთა ჯგუფის ნარჩენებს და ამ ესპანელმა იმდენი ქნა, მინიმუმ, კიდევ ერთი დღით შეინარჩუნა ყვითელი მაისურა.

პერეირო საო კვლავაც ლიდერია, მაგრამ მთები დამთავრდა, ხოლო ხვალ, ბოლოსწინა ეტაპზე ინდივიდუალური რბოლაა და ლენდისი, რომელიც ამ წუთისთვის მესამეა და მხოლოდ 30 წამსღა აგებს ლიდერთან, აშკარა ფავორიტი ჩანს. სიოსა და ლენდისს შორის სასტრეა, ხოლო მეოთხეზე, ამერიკელთან ორწუთიანი ჩამორჩენით ანდრეას კლოდენი და ალბათ, უპრიანი იქნება გავიხსენოთ, თუ როგორ იარეს ამ ოთხმა მეშვიდე ეტაპზე, პირველი ინდივიდუალური რბოლისას.

ეს ეტაპი სერგეი გონჩარმა მოიგო, მაგრამ ეს უკრაინელი აღარავის ახსოვს. მეორე ლენდისი იყო, ვისაც კლოდენი 42 წამით ჩამორჩა, სასტრე — წუთითა და 10 წამით, ხოლო პერეირო სიო — წუთითა და 40 წამით. სხვების — კედელ ევანსის, დენის მენშოვისა და მოროს შედეგების თვალიერებას აზრი აღარ აქვს.

რა თქმა უნდა, რაღაც შეიძლება დღევანდელ ეტაპზეც შეიცვალოს, მაგრამ ეს ნაკლებად სავარაუდოა და მთელი ყურადღება ხვალინდელ, 57 კილომეტრიან ეტაპზე იქნება გადატანილი. დღეს ლიდერები ძალებს დაზოგავენ და შეეცდებიან, როგორღაც აღიდგინონ გუშინ დახარჯული ენერგია. ისიც სათქმელია, რომ ყველაზე მეტი ენერგია, სწორედ ლენდისმა დახარჯა, რომელმაც, ფაქტობრივად, მარტომ იარა მთელი 150 კილომეტრი და არც ის გახლავთ აუცილებელი, რაც პირველი ინდივიდუალური რბოლისას მოხდა, ხვალაც იგივე განმეორდეს. ასე რომ, ლენდისს გარანტირებული არაფერი აქვს, მაგრამ მან მთავარი შეძლო და გუშინწინდელი კრახის შემდეგ, პირველ რიგში საკუთარ თავს აჯობა, შემდეგ მეტოქეებს და კარიერაში პირველად, თანაც განუმეორებელ სტილში მოიგო რა დიდი ველოტურის ეტაპი, რეალური განაცხადი გააკეთა საბოლოო გამარჯვებაზე.

**გია მუჯირი**

### 20 ივლისი. მე-17 ეტაპი
### სენტ ჟან დე მურენი-მორზინი. 2005,5 კმ.

| | |
|---|---|
| 1. ფლოიდ ლენდისი (აშშ, ფონაკი) | 5სთ. 23წთ. 36წმ |
| 2. კარლოს სასტრე (ესპანეთი, CSC) | +5წთ. 42წმ. |
| 3. კრისტოფ მორო (საფრანგეთი, AG2R) | +5წთ. 58წმ. |
| 4. დამიანო კუნეგო (იტალია, ლამპრე) | +6წთ. 40წმ. |
| 5. მიხაელ ბოგარდი (ჰოლანდია, რაბობანკი) | +7წთ. 8წმ. |
| 6. ფრენკ შლეკი (ლუქსემბურგი, CSC) | +7წთ. 8წმ. |
| 7. ოსკარ პერეირო სიო (ესპანეთი, ილეს ბალეარსი) | +7წთ. 8წმ. |
| 8. ანდრეას კლოდენი (გერმანია, T-მობაილი) | +7წთ. 8წმ. |

### საერთო ჩათვლა

| | |
|---|---|
| 1. ოსკარ პერეირო სიო (ესპანეთი, ილეს ბალეარსი) | 80სთ. 8წთ. 49წმ. |
| 2. კარლოს სასტრე (ესპანეთი, CSC) | +12წმ. |
| 3. ფლოიდ ლენდისი (აშშ, ფონაკა) | +30წმ. |
| 4. ანდრეას კლოდენი (გერმანია, T-მობაილი) | +2წთ. 29წმ. |
| 5. კედელ ევანსი (ავსტრალია, ლოტო) | +3წთ. 8წმ. |
| 6. დენის მენშოვი (რუსეთი, რაბობანკა) | +4წთ. 14წმ. |
| 7. სირილ დესელი (საფრანგეთი, AG2R) | +4წთ. 24წმ. |
| 8. კრისტოფ მორო (საფრანგეთი, AG2R) | +5წთ. 45წმ. |



ეროვნული ბიბლიოთეკა



# სწავლა და თამაში

ნბა-ს სასწავლო და სათამაშო ცენტრი გაუხსნია პუერტო რიკოს მთავარ ქალაქ სან ხუანში. პატარა ბიჭი ხუან უიკე მუხლებზე დაუსვამს „ორლანდო მეჯიქის" ბო აუთლოოს და ზღაპარს უკითხავს. კალათბურთელები მრავლად ჩასულან ამ ღონისძიებაზე.

# დროშა და გოშია

ჯონათან მარინი თავისი სამშობლოს დროშას მოაფრიალებს და ხარობს, რახან სპრინტი მოუგია. კოლუმბია ცენტრალური ამერიკისა და კარიბეთის თამაშებს მასპინძლობს და საქმეში 30 ერის სპორტსმენები ჩართულან. ძაღლს მიაქციეთ ყურადღება, რაღაცას მიაცუნცულებს.





# ჩიკაგოს ფარქვეშ

ქალთა ეროვნული ლიგის თამაშები კი გრძელდება. ჩიკაგოელები მინესოტელებს მასპინძლობენ და ომი კი კაცური აქვთ. სტეისი ლოდესი სტუმართა შორის მიძვრება. ძაან თამაში კია.



# დელ მარის დრო

კალიფორნიაში დელ მარის განთქმული დოლი გაიხსნა. პირველ დღეს ტრანსუნიონის დოლი გათამაშდა. ნამდვილი კალიფორნიელი ლამაზმანებიც, ამ თავიანთი შლაპებით, იქ იყვნენ.



სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, გიორგი ნოზაძე
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი: ვაჟა ხუციშვილი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: ვიო ახვლედიანი, ილია პაპუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მღლაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge